პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი 1 აპრილი 1941 წ. № 76 (6081) ფასი 15 კაპ.

3902
F 75 N 366

ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება სტალინური მოსავლის მიღებისათვის

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის

მზიური საქართველოს საკოლმეურნეო სოფელი დიდ საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობას განიცდის. საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია კოლმეურნეთა შორის. ეს შესანიშნავი დადგენილება წარმოადგენს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მძლავრ საშუალებას. იგი ბოლოს უღებს გათანაბრებას შრომის ანაზღაურებაში.

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ახალი წესი ქმნის მძლავრ სტიმულს შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა შეძლებულობის შემდგომი ზრდისათვის.

პარტიისა და მთავრობის ამ ბრძნულ დადგენილებას კოლმეურნეები უპასუხებენ კონკრეტულ ვალდებულებათა აღებით, ახალი შესანიშნავი საქმეებით. სიღნაღისა და მახარაძის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მოწოდებამ 1941 წელს სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ ფართო გამოხმაურება ჰპოვა. სოციალისტური შეჯიბრება სტალინური მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის ახალი ძალით გაჩაღდა. მოწინავე კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. კოლმეურნეობებში კიდევ უფრო მტკიცდება შრომის დისციპლინა, იზრდება შრომის ნაყოფიერება.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის კარგად მუშაობენ აჭარის მტს-ში. სამნიაშვილის სატრაქტორო ბრიგადამ საგაზაფხულო ხვნის გეგმა 105 პროცენტით შესრულა, ხოლო თავთავიანი კულტურების თესვისა — 200 პროცენტით. ბათუმის რაიონის სოფ. ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ხუსეინ ფარტენაძის ბრიგადა დროულად და მაღალხარისხოვნად ასრულებს ციტრუსებისა და ტუნგოს საგაზაფხულო სამუშაოებს. გურჯაანის რაიონის სოფ. ურიათუბნის კოლმეურნეობა „წითელ უბანში" ორჯერ ჩაატარეს ჯეჯილის მარგვლა და მთელი სერიოზულობით ეკიდებიან მინდვრად სასუქის გატანას. ამავე რაიონის სოფ. მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანებაში" წარმატებით მიმდინარეობს ვაზის მყნობა. აქ კარგად უვლიან პურის ნათესებს და ორგანიზებულად აწყობენ ბრძოლას მინდვრის თაგვის წინააღმდეგ. ჯოლევჯიანის (ზუგდიდის რაიონი) საბჭოთა მეურნეობაში რ. ქარჩავას ბრიგადამ სოცშეჯიბრებაში ჩაბმამდე 7 დღის განმავლობაში 16.536 გრძივი მეტრი ჩაის ბუჩქები გასხლა, შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ ამავე ხნის განმავლობაში კი — 25.000 გრძივი მეტრი, ვ. გვასალიას ბრიგადამ 18 მარტს გასხლა 1.440 გრძივი მეტრი, შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ, 22 მარტს კი — 3.975.

პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის ისტორიული დადგენილებით გამოწვეულ მძლავრ საწარმოო აღმავლობას მოწმობენ ის მასალები, რომლებიც გაზ. „კომუნისტის" დღევანდელ ნომერში ქვეყნდება.

შრომის ანაზღაურების ახალი წესი მთელი სიმკვეთრით აყენებს საკოლმეურნეო ბრიგადებში რგოლების მოწყობის საკითხს. მაგრამ ზოგან ამას ანგარიშს არ უწევენ. თელავისა და საგარეჯოს მთელ რიგ კოლმეურნეობებში რგოლების მოწყობას ჯერ კიდევ არ ექცევა სერიოზული ყურადღება. კასპის, გორის, ქარელისა და ყვარლის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში რგოლებისათვის არ შეუდგენიათ საწარმოო დავალება და არ გამოუყვიათ მათთვის საწარმოო უბნები.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 13 მარტის დადგენილებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკოლმეურნეო წარმოების სწორად დაგეგმვას და კოლმეურნეობებში აღრიცხვის მოწესრიგებას. პარტიის რაიონული კომიტეტების, რაისაბჭოების აღმასკომების და რაიმიწგანების ამოცანაა დაეხმარონ კოლმეურნეობებს აღრიცხვის სანიმუშოდ დაყენებისა და 1941 წლის საწარმოო გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად შედგენისათვის.

ყველა პირობა გვაქვს მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის მისაღებად. უხვი მოსავლისათვის ბრძოლის პირველი საფეხურია საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარება. მართალია, საქართველოში თესვა გასულ წელთან შედარებით უკეთესად მიმდინარეობს, მაგრამ ცალკეულ რაიონებსა და კოლმეურნეობებში ამ მხრივ ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით.

წელს რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, მარცვლეული მეურნეობის აღმავლობის საქმეში გადამწყვეტ წარმატებებს უნდა მივაღწიოთ. საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ა. წ. 7 თებერვლის დადგენილებაში სერიოზული ამოცანები დაგვისახეს მარცვლეული მეურნეობის განვითარების დარგში. მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგან სავალდებულო აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებისადმი შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენენ. მაგალითად, თელავის რაიონის სოფ. სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში მტს-მა 15 ჰექტარი ფართობი 12-14 სანტიმეტრის სიღრმეზე მოხნა, ნაცვლად 20-22 სანტიმეტრისა. კასპის რაიონის სოფ. ხანდაკის და სამთავისის კოლმეურნეობათა ფართობები მტს-მა 12-14 სანტიმეტრის სიღრმეზე მოხნა. მცხეთის რაიონის სოფ. ნატახტარის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მეორე ბრიგადა სთესავდა მოუმზადებელ, ატალახებულ ნიადაგზე, რის გამო ნახევარზე მეტი თესლი ნიადაგის ზედაპირზე რჩებოდა. ხაშურის რაიონის სოფ. ქამფერის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" (თავმჯდომარე — ლაბაძე, აგროტექნიკოსი — ქურდაძე) შეუწამლავი ქერის თესლი დასთესეს. აგროტექნიკურ ღონისძიებათა დარღვევა სახელმწიფოს, კოლმეურნეობების ინტერესთა წინააღმდეგ მიმართული მოქმედებაა და იგი ძირშივე უნდა აღიკვეთოს.

სოციალისტური შეჯიბრების ნიშნით უნდა წარიმართოს მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები: ხვნა-თესვა, ვაზის მყნობა, ჩაისა და ციტრუსოვანთა სამუშაოები. ამავდროულად ენერგიულად უნდა გავშალოთ მუშაობა ჩაის კრეფისათვის სანიმუშოდ მოსამზადებლად. ჩაის ფაბრიკები ყოველმხრივ მზად უნდა შეხვდნენ ფოთლის გადამუშავების სეზონს.

პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებით გამოწვეული შემოქმედებითი აღმავლობა გამოყენებულ უნდა იქნას იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები ყოველდღიურად, მაღალხარისხოვნად სრულდებოდეს ყველა კოლმეურნეობაში, ბრიგადაში, რგოლში, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სოცშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი სისტემატურად მოწმდებოდეს. ეს საშუალებას მოგვცემს დროულად გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი და ამავე დროს სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილება ყველას კუთვნილებად გავხადოთ.

განუხრელად განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილება, კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დიადი დროშა, ღრმად ჩავწვდეთ კოლმეურნეობათა ეკონომიკას და 1941 წელს მივაღწიოთ ახალ წარმატებებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს ნ. დ. ზელინსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ორგანული ქიმიის მეცნიერული პრობლემების დამუშავების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, დაბადების 80 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, აკადემიკოსი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ზელინსკი, წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული, დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1941 წლის 29 მარტი.

ვანდა ვასილევსკაია მიღებულია პარტიის წევრად

ლვოვი, 29 მარტი (საქდესი). გუშინ უკრაინის კ. პ. (ბ) ქალაქ ლვოვის კრასნოარმეისკის რაიკომმა პარტიული ბილეთი მისცა პარტიის წევრად მიღებულ მწერალ-ქალს ვანდა ვასილევსკაიას.

სტალინის პრემიის ლაურეატების ნაშრომთა გამოცემა

ლენინგრადი, 29 მარტი (საქდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის ლენინგრადის განყოფილება წელს გამოუშვებს უდიდეს საბჭოთა მეცნიერების — სტალინის პრემიის ლაურეატების მთელ რიგ ნაშრომებს. ამ გამოცემათა შორის არის ნაშრომები, რომლებისთვისაც მეცნიერთ პრემიები მიეკუთვნათ.

გამოიცემა ლ. ა. ორბელის „ლექციები უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიიდან", აკად. ნ. ნ. სემიონოვის „ჯაჭვური რეაქციები", აკადემიკოს ე. ნ. პავლოვსკის „ტკიპების შესწავლის მეთოდები", აკად. ა. ე. ფავორსკის „აცეტილენი და მისი წარმოება".

ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა აკადემიკოს ა. ნ. კრილოვის წიგნი „კომპასის დევიაციის თეორიის საფუძვლები", გარდა ამისა, გამომცემლობამ გამოუშვა აკადემიკოს ა. ნ. კრილოვის „ნაშრომთა კრებულის" ექვსი ტომი, ამჟამად მეცნიერი ამზადებს თავის რჩეულ ნაშრომთა ახალ გამოცემას, რომელიც შეიცავს 250-ზე მეტ ნაბეჭდ ფურცელს.

სტალინის პრემიის ლაურეატები ა. ი. ალიხანოვი და ა. ი. ალიხანიანი გამომცემლობისათვის ამზადებენ ნაშრომს „ატომის ბირთვის ფიზიკის პრობლემა".

მამაცი ჰაერნაოსნები მოსკოვს ჩამოვიდნენ

30 მარტს, საღამოს, ნოვოსიბირსკიდან მოსკოვს ჩამოვიდნენ მამაცი საბჭოთა ჰაერნაოსნები ვ. ა. ნევერნოვი და ს. ს. გაიგეროვი, რომლებმაც 13-16 მარტს მოახდინეს ღირსშესანიშნავი გაფრენა ჰაეროსტატით „სსსრ ვრ-73". მათ, როგორც ცნობილია, ჰაერში დაჰყვეს 69 საათსა და 30 წუთს და ამ ხნის განმავლობაში გაიარეს დაახლოებით 2.800 კილომეტრი მანძილი.

მოსკოვს ჩამოტანილია ჰაეროსტატის მატერიალური ნაწილი, სამეცნიერო მოწყობილობა და საკონტროლო ხელსაწყო — ბაროგრაფები. მთელი მასალები და დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ამხ. ნევერნოვისა და გაიგეროვის სარეკორდო გაფრენას, სრულიად დაუზიანებლად გადაეცემა სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური ჰაეროკლუბის საავიაციო-სასპორტო კომისიას. (საქდესი).

საჭადრაკო მატჩ-ტურნირი

მეხუთე ტური

ლენინგრადი, 29 მარტი (საქდესი). მეხუთე ტურში კერეს— ბოლესლავსკის პარტია ყაიმით დამთავრდა. ბოტვინიკმა მოუგო სმისლოვს. ბონდარევსკი — ლილიენტალის პარტია გადაიდო ლილიენტალისათვის გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში.

მეხუთე ტურის შემდეგ ლიდერია ბოტვინიკი. მას აქვს 3 ქულა და ერთი, უკეთეს მდგომარეობაში გადადებული პარტია. კერესს აქვს 2,5 ქულა (4-დან) და ერთი, უარეს პოზიციაში გადადებული პარტია.

ხვალ პიონერთა სასახლეში გათამაშდება დაუმთავრებელი პარტიები. გათამაშდება აგრეთვე პირველი ტურის გამოტოვებული პარტია ბოტვინიკ — ბოლესლავსკისა.

○

ლენინგრადი, 30 მარტი (საქდესი). დღეს პიონერთა სასახლეში გათამაშებულ იქნა პირველ ტურში გამოტოვებული პარტია ბოტვინიკ—ბოლესლავსკისა. ისე, როგორც წინა დღით, ბოლესლავსკიმ ფრანგული პარტია აირჩია. ბოტვინიკი მეთოდურად აძლიერებდა თავის პოზიციას. მან ენდშპილში გადაიყვანა პარტია და მძიმე ფიგურით შეიჭრა მე-7 ჰორიზონტალში. შავების პოზიციის სისუსტე სულ უფრო-დაუფრო საგრძნობი გახდა. მაგრამ ცაიტნოტში ბოტვინიკმა რამდენიმე სუსტი სვლა გააკეთა და გადადებულ მდგომარეობაში ბოლესლავსკის ყაიმის ერთგვარი შანსი აქვს.

კერესი დანებდა ლილიენტალს, ისე, რომ თამაში არ განუახლებია. ბონდარევსკი — ლილიენტალის პარტია, როგორც ვიცით გადადებული იყო თეთრებისათვის გაცილებით უფრო ცუდ მდგომარეობაში. იმის შემდეგ, რაც ბონდარევსკი უხარისხოდ დარჩა, ხოლო პაიკების რაოდენობა თანაბარი იყო, მან სცადა ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ეს უიმედო აღმოჩნდა და მე-83 სვლაზე ბონდარევსკიმ პარტია დასთმო.

ახლა პირველი წრის შემდეგ წინ არის ბოტვინიკი, რომელსაც აქვს 3 ქულა და 2 გადადებული პარტია, ლილიენტალს—2,5 ქულა (4-დან), კერესს—2,5 (ხუთიდან).

ხვალ, 31 მარტს, გათამაშებულ იქნება მეორე წრის პირველი ტური. ერთმანეთს შეხვდებიან ბოლესლავსკი — ბოტვინიკი, სმისლოვი — ლილიენტალი და ბონდარევსკი—კერესი.

ქრონიკა

სსრკ სახკომსაბჭომ ამხ. ა. პ. ზავენიაგინი დანიშნა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ. (საქდესი).

ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება

თბილისის რაიონი, (საქდესი). 500 კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას თბილისის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკთა შეკრებაში, რომელიც 27 მარტს გაიმართა. შეკრება მხურვალედ მიესალმა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებას კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე სიღნაღისა და მახარაძის რაიონის მოწინავე კოლმეურნეთა მოწოდებას იმის შესახებ, რომ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

შეკრებაზედვე ბევრი კოლმეურნეობა, ცალკეული კოლმეურნეები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ. ავჭალის სოფლსაბჭოს ბერიას სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის სახელით ამხ. თ. ვარდანაშვილმა ვალდებულება იკისრა თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 12 ცენტნერი თავთავიანი კულტურა და 22 ცენტნერი სიმინდი აიღოს, მთლიანად შეინარჩუნოს ცხვრის ნამატი, და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სოღანლუღის მახარაძის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა. შეჯიბრებაში ჩაებნენ აგრეთვე სოფელ დიღმის ლენინის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა, იმავე სოფლის სტალინის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა, სოფ. მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა და სხვ.

შეკრებაზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ლეკიშვილმა, რომელმაც კოლმეურნეობებს ამოცანად დაუსახა, რომ წელს ბოლშევიკურად ჩაატარონ მთელი მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო მუშაობა.

შეკრებამ ერთსულოვნად მიიღო მცხეთის რაიონის კოლმეურნეების შეჯიბრებაში გამოწვევა და ვალდებულება იკისრა რაიონში თავთავიანი კულტურების მოსავლიანობა აიყვანოს ჰექტარზე 12 ცენტნერამდე, კარტოფილისა — 90 ცენტნერამდე, პომიდორისა — 160 ცენტნერამდე, აგრეთვე ყოველ 100 სულ ძროხასა და ფურკამეჩზე გამოზარდონ და შეინარჩუნონ 85 ხბო და ზაქი, ხოლო ყოველ ას დედაცხვარსა და აზაპზე — 95 ბატკანი.

შეკრებამ რაიონის კოლმეურნეობათა სახელით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობები.

ვაზის მყნობა დაამთავრეს

ქუთაისი, 31 მარტი (საქდესი). სოფ. გეგუთის მილიონერმა კოლმეურნეობამ „წინსვლამ" რაიონში ყველაზე უწინ დაიწყო და კიდეც დაამთავრა ვაზის მყნობა. დამყნილია 150.000 ძირი ვაზი.

ვაზის მყნობის ოსტატები ამხ. ა. ხუტუნაშვილი, ვ. კუხიანიძე და ა. ხოტივარი, 800 ცალის ნაცვლად, ყოველდღიურად 1.300 ვაზს ამყნობდნენ.

წეროვნის მტს-ის ტრაქტორისტი ლონგინოზ ჯირანაშვილი სავენახე ნიადაგის მომზადებაზე მცხეთის რაიონის სოფ. მუხრანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო რ. აკოფოვისა.

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი კარგად მოემზადნენ თესვისათვის

სოხუმი (ტელეფონით „კომუნისტის" კორ.). სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებას აფხაზეთის კოლმეურნეები უპასუხებენ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით. სოხუმის რაიონის ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადები, რგოლები და ცალკეული კოლმეურნეები წარმატებით შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. კოლმეურნეობა საუკეთესოდ მოემზადა საგაზაფხულო თესვისათვის. საგაზაფხულო ხვნა დაამთავრეს 145 ჰექტარზე. სათბურებში თამბაქოს ჩითილებს კარგად უვლიან. თამბაქოს გრუნტში თესვას მალე დაამთავრებენ.

ოჩამჩირის რაიონის სოფ. ბესლახუბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მომარაგებული აქვთ მაღალხარისხოვანი სათესლე მასალა, შეკეთებულია იარაღ-მანქანები და ყოველმხრივ მზად არიან თესვისათვის.

ახალი ბაღები

კასპი (საქდესი). კასპის რაიონში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად გადამეტებით შესრულეს გაზაფხულზე ახალი ბაღების გაშენების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 90 ჰექტარის ნაცვლად დარგულია 105 ჰექტარი. ხეხილის რგვა გრძელდება.

ინგირის კოლმეურნეობაში

ზუგდიდი („კომუნისტის" კორ.). ინგირის კოლმეურნეობის წევრები, აღფრთოვანებულნი პარტიისა და მთავრობის 1941 წ. 13 მარტის დადგენილებით, ახალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ. კოლმეურნეობამ ხარისხოვნად შესრულა ჩაის მსუბუქი გადაბარვა, ჩაის გასაშენებლად ნიადაგი მომზადებულია სამ ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 ჰექტარისა. დამთავრდა ჩაის პლანტაციების რემონტი, ჩაის ბუჩქების გასხვლა. ვ. სულუხიას ბრიგადამ საგაზაფხულოდ ნიადაგი მოხნა 12 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9 ჰექტარისა.

ოჩამჩირელ კოლმეურნეთა სიტყვა და საქმე

ოჩამჩირე („კომუნისტის კორ."). შესდგა ოჩამჩირის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის ცნობილ დადგენილებაზე მოხსენებით გამოვიდა ოჩამჩირის პარტრაიკომის მდივანი ამხ. დ. ჯანჯღავა. შეკრებაზე სოფ. ილორის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პ. აბლოთიამ განაცხადა, რომ კოლმეურნეობა წელს 150 პროცენტით შეასრულებს ჩაის კრეფის წლიურ გეგმას. სოფ. ჭილოუს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ჯანჯღავამ იკისრა 1941 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 12 ცენტნერი თამბაქო.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სოფ. ახალი კინდღის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ბ. ჯანაშია, მიწგანისა და მტს-ის აგრონომები.

შეკრება აქტიურად გამოეხმაურა მახარაძელთა მოწოდებას მაღალი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

კოლმეურნენი უკვე შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ევკალიპტების დარგვა

ფოთი, 31 მარტი (საქდესი). დაიწყო ევკალიპტების დარგვა. სოფელ საგვიჩიოს და ნინოშვილის კოლმეურნეობებმა, აგრეთვე „კოლხიდის" საბჭოთა მეურნეობამ პირველებმა დაიწყეს რგვა. კოლხიდმშენის ევკალიპტის სანერგემ სამტრედიის რაიონს გაუგზავნა ევკალიპტის ნერგების პირველი პარტია.

წელს ფოთში დაირგვება 190 ათასი ევკალიპტი.

გალის რაიონის მოწინავეთა შეკრებაზე

შესდგა გალის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება, რომელსაც ორასზე მეტი კაცი დაესწრო.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილება შეკრების მონაწილეებს გააცნო საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომის მდივანმა ამხ. პ. თოდუამ. აგრეთვე გააცნო მახარაძისა და სიღნაღის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვები მაღალი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

შეკრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ქ. ჭიჭინაძე.

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ახალი წესი, — აღნიშნა თავის გამოსვლაში სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ორდენოსანმა ამხ. გ. ჯგუბურიამ, — უდიდეს სტიმულს გვაძლევს მაღალი მოსავლისათვის საბრძოლველად. მადლობა დიდ **სტალინს** კოლმეურნეებზე მამობრივი მზრუნველობისათვის. ამ დადგენილების პასუხად ვკისრულობთ მივიღოთ ჰექტარზე 20 ცენტნერი სიმინდი, 7 ცენტნერი სამსუნის ჯიშის თამბაქო, 4.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი სრულასაკოვანი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ სოფ. ზემო-ბარღეფის კოლმეურნეობა „გიგანტს". სიტყვით გამოვიდა ამხ. ი. ახალაია (კოლმეურნეობა „გიგანტის" თავმჯდომარე). მან მიიღო გ. ჯგუბურიას გამოწვევა.

გალის რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ლანჩხუთის რაიონი.

ალ. გვახარია

ზუგდიდის რაიონმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ცხაკაიას რაიონი

ზუგდიდის რაიონი მესამე წელია ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში უკრაინის სს რესპუბლიკის ტალალაევკის რაიონთან. სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წელსაც გაგრძელების შესახებ ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებამ ერთი თვის წინ წერილით მიმართა აღნიშნული რაიონის ხელმძღვანელებს.

მიმდინარე თვის 25 მარტს კი სარაიონო შეკრებაზე სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილების განხილვასთან დაკავშირებით სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს ცხაკაიას რაიონიც.

სალამოს სპექტაკლების დაწყების ერთიანი დრო

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა დააწესა საღამოს სპექტაკლების დაწყების ერთიანი დრო დიდი ქალაქების ყველა თეატრისათვის. 1 აპრილიდან მოსკოვის, ლენინგრადისა და ჩვენი ქვეყნის სხვა დიდი ქალაქების თეატრებში სპექტაკლები დაიწყება 8 საათზე. (საქდესი).

აჭარის პრესის მუშაკთა საოლქო თათბირი

ბათუმი („კომუნისტის" კორესპონდენტისაგან). 30 მარტს ჩატარდა აჭარის ასსრ საოლქო, სარაიონო, მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების რედაქტორთა თათბირი, რომელმაც რადიოთი მოისმინა გაზ. „ზარია ვოსტოკას" რედაქციის მოხსენება პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილებისა და მახარაძისა და სიღნაღის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვასთან დაკავშირებით პრესის ამოცანების შესახებ.

რადიო-მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ალ. ლომთაძე (ქობულეთის რაიგაზეთის რედაქტორი), ზ. თოდრია (ბათუმის რაიგაზეთის რედაქტორი), გ. რუსიეშვილი (ქედის რაიგაზეთის რედაქცია), ვ. სირიძე (ხულოს რაიგაზეთის რედაქცია), გრ. პეშკოვი (პარტიის აჭაროლქკომის სას.-სამ. განყოფილების გამგის მოადგილე). თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე ილაპარაკეს და სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე კედლის გაზეთების რედაქტორები ამხ. ბარგილაძე, შურვანიძე, მაჭარაძე, კასანიდი და სხვ., რომლებიც ჩაებნენ ერთმანეთს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში და აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილებისა და მახარაძისა და სიღნაღის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვასთან დაკავშირებით სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა, მტს-ებისა და კოლმეურნეთა მასების ფართოდ ჩაბმის შესახებ.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს XI პლენუმი

29 მარტს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს XI პლენუმის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ნ. მ. შვერნიკის მოხსენების გამო 1941 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების დარგში პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ. პირველმა ილაპარაკა მძიმე მანქანათმშენებლობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **გრანკინმა.** იგი სავსებით დაეთანხმა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის იმ კრიტიკას, რომელიც მოგვცა თავის მოხსენებაში ამხ. შვერნიკმა.

— კავშირის ცენტრალური კომიტეტის ფორმალურ ხელმძღვანელობას ძირეული პროფკავშირული რგოლების მიმართ, — ამბობს ამხ. გრანკინი, — შედეგად მოჰყვა ისა, რომ ცენტრალური კომიტეტის მუშაკები ვერ ამჩნევდნენ სერიოზულ დამახინჯებებს საწარმოებში გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების პრაქტიკაში.

— საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებებმა,—სთქვა სამხრეთის რკინიგზების მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ციმბალმა,** — ჩვენ საშუალება მოგვცა შეგვეგნო ხელმძღვანელობის კანცელარულ - ბიუროკრატიული სტილის უვარგისობა და მუშაობის გადაჭრით გარდაქმნის გზას დავდგომოდით. 1939 წლის ნოემბრიდან ჩვენი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს 70-ჯერ ჰქონდა სხდომა. გარჩეულ იქნა 1.249 საკითხი. მარტო შარშან თებერვალში შესდგა პრეზიდიუმის 7 სხდომა, რასაც 15 სამუშაო დღე მოუნდა. ხშირად სხდომა 2-3 დღეს გრძელდებოდა.

ახლა სამხრეთის რკინიგზების მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა საგრძნობლად შეამცირა სხდომებისა და თათბირების რაოდენობა, შეამცირა მიმოწერა. მუშაკები უფრო ხშირად მიდიან დეპოებში, რკინიგზის სადგურებზე, კვანძებში.

დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **სლავკოვმა** მთელი რიგი მაგალითებით ცხადჰყო, რომ კავშირის ცენტრალურ კომიტეტსა და მის ძირეულ რგოლებს ხშირად გამოჰქონდათ კარგი გადაწყვეტილებანი, მაგრამ კონტროლს არ უწევდნენ მათს შესრულებას.

ცენტრალურ რაიონთა შავი მეტალურგიის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ანტიპოვმა** თავის გამოსვლაში მთავარი ყურადღება მიაქცია პროფორგანიზაციების მონაწილეობას საწარმოებში ტექნოლოგიის დაცვისათვის ბრძოლაში.

საშუალო მანქანათმშენებლობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ნოვოჟილოვი** შეეხო ხელფასის სისტემაში არსებულ დამახინჯებებს. მთელ რიგ საწარმოებში მომხდარმა შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ხელფასის გათანაბრება ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის ლიკვიდირებული, მრავალი ნაკლი არსებობს შრომის დანორმვის საქმეში. ამავე დროს საოლქო კომიტეტებისა და ქარხკომების ხელფასის კომისიები უმოქმედოდ არიან.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისადმი ფორმალურ, ბიუროკრატიულ დამოკიდებულებაზე ილაპარაკა ზუსტი მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **სტეპანოვმა.** პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს საქარხნო კომიტეტებისაგან მოსდის ანგარიშები სოციალისტური შეჯიბრების მდგომარეობის შესახებ. ზერელედ გაცნობის შემდეგ მათ საქმეში ჩააკერებენ ხოლმე. ზოგჯერ პრეზიდიუმი მოისმენს ხოლმე საწარმოთა დირექტორებისა და ქარხკომთა თავმჯდომარეების მოხსენებებს. მაგრამ, მიიღებს რა ფართო გადაწყვეტილებებს, მას ავიწყდება იმის შემოწმება, თუ როგორ სრულდება ეს გადაწყვეტილებები.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ხარკოვის კომინტერნის სახელობის ქარხნის ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. **კოპიჩევი,** სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ლეონოვიჩი** და სხვ. (საქდესი).

○

პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს XI პლენუმის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს უფროსი ამხ. **მოსკატოვი.** თავისი გამოსვლა მან მიუძღვნა სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნის საკითხებს და პროფკავშირების როლს ამ მუშაობაში.

გულთბილად შეხვდნენ პლენუმის მონაწილენი ლიტვის სსრ პროფკავშირთა ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარეს ამხ. **სტიმბურისს.** მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ჩაღდება რესპუბლიკაში პროფკავშირული მუშაობა. შექმნილია 17 პროფესიული კავშირი, რომლებიც აერთიანებენ 1.900 საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტს. პროფკავშირებში გაერთიანებულია 225 ათასი მუშა და მოსამსახურე.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ საავიაციო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ვასერმანი,** პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. **კურკინა,** კავკასიის ნავთის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **რზაევი** და სხვები.

პლენუმის შემდეგი სხდომა შესდგება 31 მარტს. (საქდესი).

პეტრე II-ის მეფედ კურთხევა

ბელგრადი, 29 მარტი (საკდესი). გუშინ ბელგრადის ტაძარში მოხდა პეტრე II-ის მეფედ კურთხევის ცერემონია, რასაც დაესწრნენ: იუგოსლავიის მთავრობის წევრები, სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელნი და დიპლომატიური კორპუსის წევრები. მეფე ტაძარში მივიდა პრემიერ-მინისტრ სიმოვიჩსა და სამხედრო-საზღვაო მინისტრ ილიჩთან ერთად და ჯარის პარადი მიიღო.

ბელგრადი, 29 მარტი (საკდესი). როგორც იუგოსლავიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ მეფე პეტრე II-ემ ფიცი დასდო მეფის სასახლეში, იუგოსლავიის პატრიარქ გაბრიელის, იუგოსლავიის სინოდის წევრების, პრემიერ-მინისტრ სიმოვიჩისა და იუგოსლავიის მთავრობის ყველა წევრის დასწრებით.

მეფე პეტრე II-ემ მიიღო ივანე შუბაშიჩი

ბელგრადი, 29 მარტი (საკდესი). როგორც ბელგრადის გაზეთი „პრავდა" იუწყება მეფე პეტრე II-ემ გუშინ მიიღო ხორვატიის ბანოვინის (გუბერნიის) ბანი (გუბერნატორი), დოქტორი ივანე შუბაშიჩი.

იუგოსლავიის მთავრობის სხდომა

ბელგრადი, 29 მარტი (საკდესი). დღეს დილის 9 საათიდან და 30 წუთიდან 13 საათამდე დუშან სიმოვიჩის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა მინისტრთა საბჭოს სხდომა. საბჭომ მიიღო პროექტი ახალი სახელმწიფო ბიუჯეტისა, რომელიც ძალაში შედის 1 აპრილიდან. ბიუჯეტი შედგენილია 9 თვისათვის—ამა წლის 31 დეკემბრამდე.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის ჯარმა დირედაუა დაიკავა

ლონდონი, 31 მარტი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 29 მარტს, ნაშუადღევს, ინგლისის ჯარმა დირედაუა დაიკავა.

O

დირედაუა აბისინიის მესამე ქალაქია სიდიდის მხრივ (ადის-აბებისა და ხარარის შემდეგ); მოსახლეობა 25-30 ათას კაცს შეადგენს. ქალაქი რკინიგზაზე მდებარეობს, 311 კილომეტრზე ჯიბუტიდან და 472 კილომეტრზე ადის-აბებიდან.

ფრანგი კომუნისტი დეპუტატების გადასახლება ალჟირში

ლიონი, 31 მარტი (საკდესი). ოფის (ჰავასის) სააგენტოს ცნობით, ფრანგი კომუნისტი დეპუტატების დიდი ჯგუფი ჟანდარმების თანხლებით გაჰგზავნეს მარსელიდან სამხრეთ ალჟირში.

იტალიისა და გერმანიის გემების კონფისკაცია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ

ნიუ-იორკი, 31 მარტი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა მორგენტაუმ განკარგულება მისცა სანაპირო დაცვის ხელისუფალთ ამერიკის შეერთებული შტატების ნავსადგურებში მდგომი იტალიელთა 28 გემისა და ბოსტონის ნავსადგურში მდგომი გერმანელთა ორი გემის კონფისკაციის შესახებ. ხომალდების ეკიპაჟები გადაყვანილია ნაპირზე. ეკიპაჟების ზოგიერთ წევრს ბრალდება წაუყენეს, რომ მათ საბოტაჟის აქტები ჩაიდინეს ამერიკის ნავსადგურების წინააღმდეგ. ეკიპაჟის დანარჩენი წევრები, ალბათ, ინტერნირებული იქნებიან, თუ მათ საშუალებას არ მისცემენ იტალიაში დაბრუნდნენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში იტალიისა და გერმანიის გემების კონფისკაციის გამო

ნიუ-იორკი, 31 მარტი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის თანაშემწე გასტონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ გერმანიისა და იტალიის გემების კონფისკაცია „დამცველ ღონისძიებას" წარმოადგენს. მისი სიტყვით ამერიკის შეერთებული შტატების ნავსადგურებში მდგომი იტალიელთა სულ ცოტა 20 გემია დაზიანებული. როგორც სჩანს, ეს გემები ერთდროულად დააზიანეს. იტალიის ერთერთ გემზე, რომელიც ნორფოლკის (ვირგინიის შტატი) ნავსადგურში დგას, ყველა მანქანა დაშლილია. სააგენტო აღნიშნავს, რომ, იტალიის გემ „მონტიოს" კაპიტნის სიტყვით, იტალიის ვაშინგტონელმა საზღვაო ატაშემ ბრძანება მისცა ამერიკის შეერთებულ შტატების ნავსადგურებში მდგომ იტალიელთა 28-ვე გემის კაპიტნებს გააფუჭონ მანქანები თავიანთ გემებზე. ამ გემების საერთო წყალწყვა 169 ათას ტონას აღწევს.

დანიის გემების კონფისკაცია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ

ნიუ-იორკი, 31 მარტი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ, საბოტაჟის აქტების გამორკვევასთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კონფისკებულია დანიის 36 ხომალდი.

თავდასხმა საფრანგეთის სავაჭრო გემებზე

ლიონი, 31 მარტი (საკდესი) ოფის (ჰავასის) სააგენტო იუწყება, რომ, საფრანგეთის საადმირალოს ცნობით, გუშინ, დილის 9 საათზე, ინგლისის დიდი სამხედრო-საზღვაო ძალები ნემურსა და ორანს შუა თავს დაესხნენ საფრანგეთის 4 სავაჭრო გემის ქარავანს, რომელიც კასაბლანკიდან ორანში მიდიოდა. გემთა ქარავანმა ნემურის ნავსადგურს შეაფარა თავი მისი მობადრაგე ნაღმოსანისა, ნემურის სანაპირო არტილერიისა და ავიაციის დახმარებით. თავდამსხმელი ხომალდები გაფანტულ იქნა. გემთა ქარავანი უვნებელი დარჩა.

ლონდონი, 31 მარტი (საკდესი). საზღვაო სამინისტრო იუწყება: გუშინ დილით ესპანეთის ტერიტორიული წყლებით გიბრალტარის სრუტე გაიარა საფრანგეთის 4 სავაჭრო ხომალდის ქარავანმა, რომელსაც საესკადრო ნაღმოსანი ჰბადრაგობდა და რომელსაც მნიშვნელოვანი ნედლეული მიჰქონდა გერმანიის ჯარისათვის. ინგლისის სამხედრო ხომალდები ქარავანს, დაეწიენენ ესპანეთის წყლების ფარგლებს გარეთ და წინადადება მისცეს გაჩერებულიყო შემოწმების ჩვეულებრივი პროცედურისათვის. საფრანგეთის სანაპირო ბატარიებმა სროლა აუტეხეს ინგლისის ხომალდებს. სამაგიერო სროლის დროს ტყვია პირდაპირ მოხვდა სანაპიროზე განლაგებულ ბატარიებს

ქარავანმა თავი შეაფარა საფრანგეთის უახლოეს ნავსადგურ ნემურს. დაბრუნებისას, როცა ინგლისის სამხედრო ხომალდები გიბრალტარისაკენ მიდიოდნენ, მათ ორგზის უშედეგოდ დაესხნენ თავს საფრანგეთის ყუმბარმშენთა შენაერთები.

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის საწარმოო-სამეურნეო აქტივის თათბირი

30 მარტს მუშაობა დაამთავრა ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის აქტივის თათბირმა.

გზის უფროსის ამხ. გრ. კიკნაძის მოხსენების გამო გამართულ კამათში 30 მარტს გამოვიდნენ: ამხ. მამაცაშვილი (გზის საორთქლმავლო მეურნეობის უფროსი), ქერიმოვი (ბაქოს საექსპლოატაციო განყოფილების უფროსი), სვანაძე (საგზაო პოლიტგანყოფილების უფროსი), კვინიკაძე (თბილისის საექსპლოატაციო განყოფილების უფროსი), ობოლაშვილი (თბილისის საორთქლმავლო დეპოს ინსტრუქტორ-მემანქანე), ვაშაკიძე (გზის სალიანდაგო დარგის უფროსი), ქერიმოვი (ბაქოს მეორე სადგურის უფროსი), ყულიევი (ბაქოს საორთქლმავლო დეპოს უფროსი), ბალავაძე (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი), ჭოლაძე (გზის საექსპლოატაციო დარგის უფროსი), ჯაფაროვი (გზის უფროსის მოადგილე), რის შემდეგაც კამათი შესწყდა. თათბირმა მოისმინა ამხ. გრ. კიკნაძის საბოლოო სიტყვა და მიიღო დადგენილება.

კამათში გამოვიდა სულ 26 კაცი.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. მ. ჩუბინიძე და გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს უფროსის თანაშემწე კომკავშირის ხაზით ამხ. ვ. კოსტაკოვი.

ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით

საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციამ ამხ. მალენკოვის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ჩასწერა: „საჭიროა **აღვადგინოთ საწარმოებსა და სახალხო კომისარიატებში საწარმოო-სამეურნეო აქტივების მნიშვნელობა**".

პარტკონფერენციის ამ გადაწყვეტილების პრაქტიკულ გამოხმაურებას წარმოადგენდა ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის საწარმოო-სამეურნეო აქტივის საგზაო თათბირი, რომელიც 29-30 მარტს შესდგა თბილისში და მეტად საქმიან ვითარებაში, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა.

როგორც გზის უფროსის ამხ. გრ. კიკნაძის მოხსენებაში, ისე მის გამო გამართულ კამათში, ბოლშევიკური პირდაპირობით იყო მხილებული ყველა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ახასიათებს ამიერ-კავკასიის რკინიგზის მუშაობას, მის სამეურნეო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, და დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად.

ამხ. კიკნაძემ თავის ვრცელ მოხსენებაში — საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ — დაწვრილებით დაახასიათა საგზაო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის მუშაობა და აღნიშნა, რომ მიუხედავად უკანასკნელ ხანებში დატვირთვა-გადმოტვირთვის გეგმების შესრულებაში მიღწეული წარმატებებისა, გზის მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს. გზა ჯერ კიდევ ვერ მუშაობს რიტმიულად, გრაფიკის მიხედვით, აღმოფხვრილი არ არის მატარებლების დაგვიანება, ადგილი აქვს მარცხებს, ავარიებს და წუნს, სადგურებში, დეპოებში, სავაგონო უბნებში ირღვევა მუშაობის ტექნოლოგიური პროცესები, ჯერ კიდევ დაბალია მოძრავი შემადგენლობისა და ლიანდაგის რემონტის ხარისხი, ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას შრომის დისციპლინა და სხვ. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ გზაზე მუშაობის ნამდვილი ბოლშევიკური სტილის მტკიცედ დანერგვისა, კულტურისა და წესრიგის დამყარების მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

კამათში გამოსული ამხანაგები სავსებით სამართლიანად აკრიტიკებდნენ გზის სამმართველოს და პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელობას, მიუთითებდნენ დაგეგმარების უვარგისობაზე, რასაც გაურკვევლობა შეაქვს საექსპლოატაციო განყოფილებების, სადგურების, დეპოებისა და დისტანციების მუშაობაში. გზის მთელ სისტემაში ემჩნევა გატაცება დატვირთვა-გადმოტვირთვის გეგმების შესრულებით, ხოლო მუშაობის დანარჩენ მხარეებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

მარცხების, ავარიებისა და წუნის უმეტესობა ცალკეული რკინიგზებისა და ხელმძღვანელი მუშაკების უდისციპლინობისა და უნიათობის შედეგია. იშვიათი არ არის შემთხვევები, როდესაც მიცემულ ბრძანებებს ძირეული სამეურნეო ერთეულების ხელმძღვანელები არ ასრულებენ, საქმეში აჭერებენ და ივიწყებენ, რაც იმის შედეგია, რომ კონტროლი ბრძანებათა შესრულებაზე სუსტია ან სრულიად არ არსებობს.

ჯერ კიდევ ხშირია სადგურებიდან მატარებლების დაყოვნებით გაშვება, ვაგონების მოცდენა დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების პროცესში. ამ საქმეში კლიენტურასაც მიუძღვის ბრალი, მაგრამ რკინიგზაც არ არის უბრალო. აქტივმა ეს გარკვევით აღნიშნა და მიუთითა რკინიგზის მეთაურ-მუშაკებს დაამყარონ ცოცხალი კავშირი კლიენტურასთან.

აქტივმა სერიოზული ყურადღება მიაქცია აქსტაფაში — წამოყვანის მოლოდინში მატარებლების დიდხანს გაჩერებას და გარკვეული დავალება მისცა საექსპლოატაციო და საორთქლმავლო მეურნეობის თბილისის განყოფილებათა უფროსებს ამხ. კვინიკაძეს და მეძველიას, დაავალა მათ — პირადი პასუხისმგებლობით მოაწესრიგონ ეს საკითხი. თბილისის საექსპლოატაციო განყოფილების უფროსს ამხ. კვინიკაძეს დაევალა ხშირი ურთიერთობა იქონიოს თავისი დისპეტჩერებითურთ მემანქანეებთან, რათა თავიდან იქნას აცილებული ყველა ის ნაკლი, რასაც ადგილი აქვს თბილისის განყოფილებაში მატარებლების ტარების საქმეში.

სასტიკად იქნა გაკრიტიკებული სარკინიგზო მშენებლობა. ითქვა, რომ ეს საქმე შეუწყნარებელ მდგომარეობაშია, გეგმები არ სრულდება და ამის მიზეზია მშენებლობისადმი უყურადღებობა, აგრეთვე ის, რომ მშენებლობანი უზრუნველყოფილი არ არიან კვალიფიციური ხელმძღვანელობით, საჭიროა მათი მცოდნე ხალხით განმტკიცება.

მართლაც — თუ განვიხილავთ ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალების გამოყენების საკითხს, ამ მხრივ მდგომარეობა სრულიად არადამაკმაყოფილებელია. 733 ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკიდან 323 გზის სამმართველოში ზის მაშინ, როდესაც ხაზი სპეციალისტების დიდ ნაკლებობას განიცდის, სამმართველოში კი მათ არადანიშნულებისამებრ იყენებენ. აქედან დასკვნა, რომ პარტკონფერენციის მითითება ამ ნაწილში არ სრულდება.

მოსაგვარებელია ორთქლმავლებისათვის მაზუთის მიწოდების საკითხი. იმ ადგილებში, სადაც ელექტრომავლები მუშაობენ, საორთქლმავლო მეურნეობას მაზუთის 3 თვის მარაგი აქვს, ხოლო სადაც ორთქლმავლებით დაჰყავთ მატარებლები, იქ მაზუთის ერთი თვის მარაგიც არ მოიპოვება.

ინსტრუქტორი-მემანქანე ამხ. ობოლაშვილი შეეხო რგოლურ მოძრაობას და აღნიშნა, რომ ეს საქმე თბილისის განყოფილებაში ჩაშლილია. მანვე უსაყვედურა ხელმძღვანელობას, რომ მემანქანეთა ინიციატივას მძიმე წონის მატარებლების ტარების დარგში არ ეხმარებიან, არ სჭიდებენ ხელს და არ ნერგავენ ამ მხრივ ცალკეულ მემანქანეთა მაღალ მიღწევებს.

აქტივმა დიდი ყურადღება მიაქცია ლუნინურ მოძრაობას. აღინიშნა, რომ მუშაობის ამ მნიშვნელოვან მეთოდს არც გზის ხელმძღვანელები და არც პოლიტგანყოფილებები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ.

ასევე სტახანოვურ მოძრაობაზე ითქვა, რომ იგი სათანადოდ გაშლილი არ არის. სტახანოველები 50 პროცენტს შეადგენენ, რაც არ არის საკმარისი და მოითხოვს პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაძლიერებას.

XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობის ნაწილში აქტივმა აშკარად აღნიშნა, რომ ამ მხრივ ჯერ ბევრი არაფერია გაკეთებული, მუშაობა გარდაქმნილი არ არის პარტკონფერენციის მითითებათა საფუძველზე. მართალია, გაშლილია მუშაობა საწარმოებში სისუფთავისა და წესრიგის დასამყარებლად, რაც ნორმალური მუშაობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, მაგრამ ამ ღონისძიებით შემოფარგვლა არ კმარა, მთავარი და არსებითი საკითხები, რომლებიც გულისხმობენ საქმეში ღრმად ჩაწვდენას (ეკონომიკა, ფინანსები, ტექნოლოგია და სხვ.) კიდევ არ არის სათანადოთ მოგვარებული.

ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის მთელმა კოლექტივმა უნდა გააჩაღოს ბოლშევიკური ბრძოლა XVIII პარტკონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განუხრელად და დაუყოვნებლივ განხორციელებისათვის, მკვეთრად და ბოლომდე გარდაჰქმნას და გააჯანსაღოს თავისი მუშაობა პარტკონფერენციის მითითებათა საფუძველზე.

გავშალოთ სუბტროპიკული რაიონების სოფკორთა და პრესის მუშაკთა შეჯიბრება

საქართველოს სუბტროპიკული რაიონების რაიონული გაზეთების ყველა რედაქტორსა და მუშაკს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციამ დასახა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების მთელი რიგი უაღრესად სერიოზული ამოცანები, რომლებიც საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და ამხანაგ სტალინის მითითებებიდან გამომდინარეობენ. 1941 წელს მთავარი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ზრდა და აღმავლობა.

მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება სახალხო მეურნეობის განვითარების 1941 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ შეჯიბრებაში აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი რაიონის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

ზუგდიდის რაიონი საქართველოში ერთერთ მოწინავე რაიონად ითვლება. 1940 წელს იგი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო და მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ დაჯილდოებულ იქნა პირველი ხარისხის დიპლომით. 1941 წელს ჩვენი რაიონი წამოყენებულია გამოფენის კანდიდატად ფართო ჩვენებით. რაიონიდან გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს 26 კოლმეურნეობა, 2 საბჭოთა მეურნეობა, მტს-ი, 93 ბრიგადა, 81 რგოლი და 1.135 სოფლის მეურნეობის მოწინავე და ორგანიზატორი.

რაიონული გაზეთი „მებრძოლი" ორ წელიწადს იყო გამოფენის მონაწილე. სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისათვის აქტიური დახმარების გაწევისათვის გაზეთი საგამოფენო კომიტეტის მიერ დაჯილდოებულ იქნა მეორე ხარისხის დიპლომით.

ამჟამად გაზეთი წამოყენებულია 1941 წლის გამოფენის კანდიდატად, წამოყენებულია აგრეთვე რედაქციის 4 მუშაკის, 4 კედლის გაზეთისა და ძირეული პრესის 11 მუშაკის კანდიდატურები.

რაიონში გამოდის ერთი მრავალტირაჟიანი გაზეთი და 175 კედლის გაზეთი, მათგან 5—სამღებრო და 15 —ხუთდღიური.

ჩვენმა რაიონულმა გაზეთმა ჩაატარა დიდი მუშაობა „რაიონული გაზეთების მუშაობის შესახებ" საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად. გაზეთის აქტივი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს 55 აგრონომი, 13 ექიმი, 8 ინჟინერი, 70-ზე მეტი მასწავლებელი, 65 პარტიული მუშაკი. მის კორესპონდენტთა საერთო რიცხვმა რაიონში 400 მიაღწია. ამან შესაძლებლობა მოგვცა უფრო ფართოდ გავაშუქოთ რაიონის ცხოვრება, უფრო ღრმად ჩავწვდეთ ეკონომიკას, დავაყენოთ საკოლმეურნეო წარმოების ძირითადი საკითხები.

გაზეთი სისტემატურად აშუქებს ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეთა და უკრაინის სს რესპუბლიკის ტალალაევკის რაიონის კოლმეურნეთა შეჯიბრების მიმდინარეობას. უკვე მეორე წელიწადია იგი შეჯიბრებაშია ჩაბმული ტალალაევკის რაიონის გაზეთ „ბოლშევისტსკიე ტემპი"-სთან, აწყობს შემცვლელ გვერდებს, ათავსებს მასალებს უკრაინელი კოლმეურნეების გამოცდილებაზე და აწარმოებს დიდ მუშაობას მასების ინტერნაციონალური აღზრდის დარგში.

მაგრამ რაიონული გაზეთის მუშაობაში, ისევე როგორც ჩვენი რაიონის მთელი ძირეული პრესის მუშაობაში, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა. ჯერ კიდევ არ არის საკმარისი გაზეთში მოთავსებული მასალების ქმედითობა, მოგვარებული არ არის კედლის გაზეთების სისტემატურად გამოსვლა. ჩვენი გაზეთები ხშირად დუმილით უვლიან გვერდს კოლმეურნეობათა ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს.

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანები ისახება ჩვენი პრესის წინაშე **„საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ"** სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით.

განვიხილეთ რა ეს დადგენილება და მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვა, ჩვენ გადავწყვიტეთ მივმართოთ საქართველოს სუბტროპიკული რაიონების რაიონული და ძირეული პრესის ყველა მუშაკს მოწოდებით: გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მაღალი მოსავლის მისაღწევად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი ზრდისა და აღმავლობის მისაღწევად წარმოებული ბრძოლის სანიმუშო ოპერატიული გაშუქებისათვის.

ჩვენი მხრივ ჩვენ ვიღებთ შემდეგ ვალდებულებებს:

კონკრეტულ ცოცხალ მაგალითებზე განვუმარტოთ კოლმეურნეებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილება.

ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას 15 კოლმეურნეობაში ჩავატაროთ ამ დადგენილების გარშემო მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის დაყენების შემოწმება და რაიონული გაზეთის ფურცლებზე გამოვაქვეყნოთ ამ შემოწმების შედეგები.

აგრეთვე ვკისრულობთ ვალდებულებას მოვაწყოთ სამდღიანი სემინარი საკოლმეურნეო კედლის გაზეთების რედაქტორებისათვის, რათა გავაცნოთ მათ მოწინავეთა შრომის ანაზღაურების ახალი წესი, კოლმეურნეობებში შრომისა და მოსავლიანობის აღრიცხვის წესი.

ჩვენ ვიბრძოლებთ კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში შრომის მტკიცე დისციპლინის შემოღებისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის. აპრილის განმავლობაში რაიონული გაზეთის ფურცლებზე გავაშუქებთ სოფელ ახალსოფლის მილიონერ კოლმეურნეობა „დამკვრელის" რგოლური მუშაობის გამოცდილებას.

ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის კონკრეტულ მაგალითებზე ვუჩვენებთ, რა გამოუყენებელი შესაძლებლობებია რაიონში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურებისა და მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის.

რაიონულ გაზეთში შევქმნით სპეციალურ განყოფილებას „მაღალი მოსავლის ოსტატები", რომელშიც მოვათავსებთ მასალებს საუკეთესო სტახანოველთა მუშაობის გამოცდილების შესახებ.

აპრილში რაიონულ გაზეთში მოთავსებული იქნება გვერდი, სადაც ლაპარაკი იქნება წარჩინებული სტახანოველის, ორდენოსან ქიონია სარსანიას გამოცდილების შესახებ. ქ. სარსანიაზე მიმაგრებულ ჩაის პლანტაციის ნაკვეთზე ჩაის ფოთლის კრეფის პერიოდში მოვაწყობთ ჩაის ფოთლის 20 მკრეფავის საწარმოო თათბირს.

5 აპრილამდე ჩავატარებთ სოფლკორთა რეიდს იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად მომზადებული არიან კოლმეურნეობები საგაზაფხულო თესვისათვის. ვაწარმოებთ სისტემატურ მუშაობას კოლმეურნეობებში მაღალი აგროტექნიკის დასანერგავად, ვეცდებით მივაღწიოთ იმას, რომ საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმებში განუხრელად იზრდებოდეს პირუტყვის ნაყოფიერება, რომ თვითეული ფერმა პირუტყვით დაკომპლექტებული იყოს არანაკლებ 1942 წლისათვის დაწესებული მინიმუმისა.

ჩვენი გაზეთების ფურცლებზე გავაშუქებთ საქართველოსა და უკრაინის კოლმეურნეობათა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, გავწევთ მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას.

რაიონულ გაზეთში ეწყობა განყოფილება „სოციალისტური შეჯიბრება სტალინური მოსავლისათვის". ამ განყოფილებაში მოთავსებული იქნება ოპერატიული მასალები კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, მტს-ებსა, ბრიგადებსა და რგოლებში შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ.

უახლოეს ხანში. მოეწყობა სოფლკორთა რეიდები: ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისათვის მზადების მიმდინარეობის შესამოწმებლად — ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში და სოფელ ჰკადუაშის კოლმეურნეობაში, საერთო საცხოვრებლების მდგომარეობის შესამოწმებლად — ჯოლეჯიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ნათესების მოვლის საკითხებზე — სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობაში, ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლისა და დამუშავების საკითხებზე — სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობა „დამკვრელში", მეცხოველეობის ფერმის მდგომარეობის შესამოწმებლად — სოფელ დარჩელის „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობაში, ჩაის ფოთლის კრეფისა და ჩაის პლანტაციების მოვლის საკითხებზე — სოფელ რიკეს შმიდტის სახელობის კოლმეურნეობაში.

ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში და ტიძორ-ანაკლიის არხის მშენებლობაზე მოვაწყობთ რაიონული გაზეთის გამსვლელ რედაქციებს.

ჯოლეჯიანის და ნარაზენის საბჭოთა მეურნეობებში და ორ კოლმეურნეობაში მოვაწყობთ ძირეული პრესის მუშაკთა შეხვედრებს.

ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას ჩავატაროთ ძირეული პრესის მუშაკთა დაუსწრებელი სწავლება. პრესის დღისათვის მოვაწყობთ კედლის გაზეთების გამოფენას.

საქართველოს სუბტროპიკული რაიონების მუშსოფლკორებო, რაიონული პრესის მუშაკებო! ჩაებით სოციალისტურ შეჯიბრებაში!

ზუგდიდის რაიონის სოფლკორთა და რაიონული და ძირეული პრესის მუშაკთა თათბირის მონაწილენი

მწერალი და პედაგოგი

(ა. ს. მაკარენკოს გარდაცვალების 2 წლისთავის გამო)

1920 წლის შემოდგომაზე სახალხო მასწავლებელი ანტონ სიმონის-ძე მაკარენკო პოლტავის სახალხო განათლების განყოფილებამ სამუშაოდ გაჰგზავნა მცირეწლოვან უფლებისდამრღვევთა აღზრდის დარგში.

მაკარენკომ, რკინიგზის სახელოსნოს მუშის მღებრის შვილმა, თავისი მამის — დახელოვნებული ოსტატისაგან მემკვიდრეობათ მიიღო გულმოდგინე და ლამაზი მუშაობის სიყვარული. 1905 წლიდან, 17 წლის ასაკისა იგი სახალხო მასწავლებლის პოსტზე იდგა; ის ვერ შეაშინა მომავალი საქმის სიძნელემ. მაკარენკო, უწინარეს ყოვლისა, მებრძოლი იყო. ხოლო, რაც მთავარია, მას გორკისებურად უყვარდა ადამიანი, გორკისებურად სწამდა ადამიანის გონების უსაზღვრო ძალა. მაკარენკოს სრული უფლებით შეეძლო განემეორებინა მაქსიმ გორკის სიტყვები: „მე ვგრძნობდი, რომ გულწრფელად და ნამდვილად მიყვარს ადამიანი — ისიც, რომელიც ამჟამად ჩემს გვერდით ცხოვრობს და მოქმედებს, და ისიც, ჭკვიანი, კეთილი და ძლიერი, რომელიც ოდესმე მომავალში გაჩნდება".

მაგრამ მაკარენკომ გორკის სახელობის მომავალ კოლონიაში მიიტანა არა მარტო ოცნება და არა მარტო მგზნებარე წადილი, რომ ადამიანი ენახა ბედნიერი და მშვენიერი. ნამდვილი ნოვატორის ჭკუით, იმ ქაოსში, რომელსაც წარმოადგენდა ნგრევის პროცესში მყოფი ძველი ქვეყანა, მან რევოლუციაში დაინახა ამ რევოლუციის ღრმა საკაცობრიო აზრი, რომელიც მტკიცე რეალურ ნიადაგს უქმნიდა მისი ოცნების განხორციელებას. მან ბევრ სხვაზე ადრე გაიგო, რომ ხალხისათვის კაპიტალიზმის ბორკილების აყრით, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობით რევოლუცია სპობს იმ მიზეზებს, რომლებიც ასეული წლების განმავლობაში ამახინჯებდნენ ადამიანის პიროვნებას, გაიგო, რომ რევოლუცია გზას აძლევს ადამიანის ნამდვილ განვითარებას.

სახალხო მასწავლებელმა მაკარენკომ კოლექტივის განთავისუფლებულ შრომაში ჰპოვა ახალი ადამიანის აღზრდის შესანიშნავი იარაღი.

„კარგი კოლექტიური ტონის პირველი ყლორტი, — სწერს მაკარენკო, — მოგვცა არა იმდენად მორალურმა შეგონებამ და გულისწყრომამ, რამდენადაც ამ საინტერესო და ნამდვილმა საქმიანმა ბრძოლამ. საღამოობით

ჩვენ კიდევაც ვკამათობდით, კიდევაც ვიცინოდით, კიდევაც ვოცნებობდით ჩვენი თავგადასავლის თემებზე, ერთმანეთს ვუმეგობრდებოდით ცალკეულ მარჯვე შემთხვევებში, ერთს მთლიან ოჯახს ვქმნიდით, რასაც ეწოდება გორკის კოლონია".

ამ კარგი კოლექტიური ტონის წარმოშობა კი მოასწავებდა ახალი ზნეობის, ყოფაქცევის ახალი კანონების, ადამიანთა ახალი ურთიერთობის, პატიოსნებისა და მოვალეობის ახალი წარმოდგენის წარმოშობას.

მთელი ისტორია გორკის სახელობის კოლონიისა, შემდეგ კი ძერჟინსკის სახელობის შრომითი კომუნისა, სადაც თექვსმეტი წლის განმავლობაში მუშაობდა ა. ს. მაკარენკო, იყო მომავლის ადამიანის შექმნისათვის გონებამახვილი და გაბედული ბრძოლის ისტორია. ეს იყო ადამიანის შეგნებაში შესანიშნავ გადატრიალებათა ისტორია. მაკარენკოს მიერ შექმნილ კოლექტივებში აღიზარდა ათასობით ახალი, ნამდვილად საბჭოთა ადამიანი — პედაგოგი და წითელი არმიის მეთაური, სტახანოველი და ბრძოლის ფრონტების გმირი, ლიტერატორები და ექიმები, ინჟინრები და მსახიობები.

მაგრამ გატაცებული მებრძოლისა და ორგანიზატორის — მაკარენკოსათვის ეს ცოტა იყო. გორკელებისა და ძერჟინსკელების მონაპოვარი მთელი საბჭოთა ხალხის კუთვნილება უნდა გამხდარიყო. მას ეწადა მათი შრომისა და შემოქმედების დიადი სიხარული მილიონობით ადამიანებს გაეზიარებინათ. ასე წარმოიშვა მსოფლიო ლიტერატურაში ერთადერთი თავისებური წიგნი, რომელიც გვერდში ამოუდგა კაცობრიობის პოეტური აზროვნების საუკეთესო ქმნილებათ, — „პედაგოგიური პოემა". გორკის სახელობის კოლონიის წარმოშობის, ზრდისა და სიმწიფის ისტორიისადმი მიძღვნილი „პედაგოგიური პოემა" მსოფლიო ლიტერატურაში დარჩება როგორც შესანიშნავი ძეგლი იმ დიადი ეპოქისა, როდესაც კაცობრიობა თავისი არსებობის ახალ ხანაში შევიდა.

ა. ს. მაკარენკომ თავისი „პოემის" მთელი აღნაგობა გაბედულად დაუქვემდებარა ადამიანის ყოფის ახალი პრინციპების დამკვიდრებას. „პედაგოგიურ პოემაში" თხრობის ცენტრს შეადგენს არა ცალკეული პიროვნების სვებედი, არამედ კოლექტივის სვებედი, მისი ბრძოლა, მისი იმედები, მისი გამარჯვებანი. „პედაგოგიური პოემის" ყოველი ცალკეული პერსონაჟი, ყოველი ეპიზოდი გვიჩვენებს კოლექტივის ხასიათის რაღაც ახალ თვისებას, მისი განვითარების რაღაც ახალ საფეხურს.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ „პედაგოგიური პოემის" გმირი კოლექტივია, ჩვენ მასში ვხედავთ მთლიანი და თავისებური ხასიათებისა და ინდივიდუალობათა დიად სიმდიდრეს.

საქმე ის არის, რომ ცხოვრების კოლექტიური საფუძვლებისათვის ბრძოლა არის ისეთი პიროვნების წარმოშობისათვის ბრძოლა, რომელსაც უმაგალითო ნებისყოფა, გონება და ძალა ახასიათებს. „რამდენადაც უფრო ფართოა კოლექტივი, რომლის პერსპექტივებიც ადამიანისათვის პირად პერსპექტივებს წარმოადგენს,—სწერს მაკარენკო, — იმდენად უფრო ლამაზი და მაღალია ადამიანი".

ახალი ცხოვრების ეს გარდუვალი კანონი „პედაგოგიურ პოემაში" გამოვლინებულია დიდი, ჭეშმარიტი ხელოვნების სიღრმით. მაკარენკო საოცარი სიმახვილით, ზოგჯერ ერთი რომელიმე ხაზით, ერთი მოძრაობით აცნობს მკითხველს ადამიანის შინაგან სამყაროს, მისი პიროვნების მთელ შინაარსს. ნაზი, ნატიფი ჰუმორით მოციმციმე „პედაგოგიური პოემის" ყოველი ფურცელი ადამიანში გვიჩვენებს მის რაღაც ახალ შესაძლებლობას, მის მაღალ სულიერ სილამაზეს.

მწოლიარე ზადოროვი, რომელსაც ტიფი სჭირს და სიცხე აქვს, იღიმება და მხოლოდ „ამ ღიმილზე ეტყობა, თუ რა ცუდად გრძნობს იგი თავს". გორკელთა პირველი სერიოზული სულიერი დრამა—მუშფაკში მიმავალ კოლონისტების განშორება — ამ დრამის ყველა მონაწილეთა უსიტყვო შეთანხმებით წარმოდგენილია როგორც მხიარული, სასიხარულო დღესასწაული („თუმცა ჩვენს სიცილსა და ლაპტის ხუმრობაში ცხოველი სიხარული კი არა სჩანდა, არამედ კარგად ალაგმული სურვილი"). უძნელესმა გამოცდამ — „გაოხრებულ კურიაჟში" გადასვლა, სადაც გორკელებს ოთხასი პატარა ხულიგანი „წესიერ ადამიანებად" უნდა ექციათ, კოლონისტების თვალებში რაღაც ახალი, მომავალი საგმირო საქმის ცეცხლი დაანთო. ყოველივე ეს მოწმობს პირადი ინტერესების ისეთ გაფართოებას, სულიერი ცხოვრების ისეთ უდიდეს გამდიდრებას, რაზედაც ოცნებაც კი ვერ გაებედნა ძველი ქვეყნის ადამიანს.

მსოფლიო ლიტერატურაში ცოტაა ისეთი წიგნი, რომ ადამიანს აძლევდეს ესოდენ მაღალ სიხარულსა და სიბრძნეს, რომ ცხოვრება დაინახოს მთელი მისი მდიდარი შესაძლებლობით და კეთილშობილი მისწრაფებებით მშვენიერებისადმი. პედაგოგიური პოემა ერთერთი უსაყვარლესი წიგნი გახდა მილიონობით მკითხველისათვის არა მარტო სსრ კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც.

ეს წიგნი — ხელოვნების დიდი ნაწარმოები ამავე დროს დიდ განძს წარმოადგენს მსოფლიო პედაგოგიურ მეცნიერებაში.

ახალ იდეათა მტრები, რუტინერები და პირდაპირ გონებაშეზღუდული ადამიანები დიდხანს ამტკიცებდნენ: მაკარენკოს პედაგოგიკა „სპეციალური" პედაგოგიკაა, რომელიც არანორმალურ ბავშვებთან მუშაობის პირობებში, ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი ომისშემდგომი ნგრევის პირობებში წარმოიშვა და ა. შ. მაგრამ მაკარენკოს იმ პედაგოგიური თეორიის ნამდვილი მნიშვნელობა, რომელიც უწინარეს ყოვლისა, გადმოცემულია პედაგოგიურ პოემაში, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი დამყარებულია საზოგადოების შესახებ, პიროვნების განვითარების შესახებ ლენინ-სტალინის მოძღვრების პრინციპებზე, და შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული საბჭოთა სკოლასა და ოჯახში.

„უდიდესი მნიშვნელობისა და საოცრად მარჯვე თქვენს პედაგოგიურ ექსპერიმენტს, — სწერდა ა. მ. გორკი, — ჩემის აზრით, მსოფლიო მნიშვნელობა აქვს".

ა. ს. მაკარენკო გატაცებით მიისწრაფოდა რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება უფრო კონკრეტულად დაჰხმარებოდა საბჭოთა ადამიანების ფართო მასებს, რათა მათ გამოეყენებინათ აღზრდის ის მძლავრი იარაღი, რომელიც რევოლუციამ მოგვცა. და „პედაგოგიური პოემის" შემდეგ მაკარენკომ დასწერა „წიგნი მშობლებისათვის", შემდეგ „ბაირაღები კოშკებზე" — წიგნები, რომლებიც გამსჭვალულია მხურვალე მისწრაფებით — დაანახვოს მკითხველს კაცობრიობის არსებობის ახალი, სოციალისტური წყობილებით დამკვიდრებული პრინციპების სილამაზე.

უდროო სიკვდილმა (ა. ს. მაკარენკო გარდაიცვალა 1939 წლის 1 აპრილს, როდესაც იგი 51 წლისა იყო) შესწყვიტა ახალი შემოქმედებითი განზრახვანი, ახალი მუშაობის გეგმები.

ადამიანის იდეალი, რომელიც მაკარენკოს მხატვრულმა შემოქმედებამ მოგვცა და რომელიც მისი პედაგოგიური თეორიის სულს შეადგენს, — ეს იდეალი წარმოიშვა სოციალისტური სინამდვილის განვითარების კანონების ობიექტური ანალიზის საფუძველზე. ამ იდეალის გატაცებული და თავდადებული სამსახური იყო ა. ს. მაკარენკოს — მწერლისა და პედაგოგის მშვენიერი ცხოვრების ერთადერთი შინაარსი.

ნ. ჩიტუნოვა.

განუხრელად განვახორციელოთ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1941 წ. 13 მარტის ისტორიული დადგენილება



რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს, 1941 წლიდან მოკიდებული, მისცენ ბრიგადებისა და რგოლების კოლმეურნეებს დამატებით, შრომადღეების დაწესებული ანაზღაურების გარდა, ნატურით ან აუნაზღაურონ ფულად ბრიგადის, რგოლის მიერ მარცვლეული, ტექნიკური, სუბტროპიკული, ხეხილის, კენკროვანი, ბოსტნეული და საკვები კულტურების მოსავლიანობის გეგმის ზევით მიღებული, აგრეთვე საგეგმო დავალებათა ზევით წველადობის, პირუტყვის გაზრდისა და გასუქების და მეცხოველეობის პროდუქტიულობის სხვა მაჩვენებლების მიხედვით მიღებული პროდუქციის ნაწილი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წ. 13 მარტის დადგენილებიდან.

პირველი შედეგები

მახინჯაურის სუბტროპიკულმა საბჭოთა მეურნეობამ სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლით შარშან გადაჭარბებით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა, რისთვისაც იგი დაჯილდოებულ იქნა რაიონის გარდამავალი წითელი დროშით. ჩაისთან ერთად სახელმწიფოს ჩავაბარეთ 14 მილიონი ცალი მანდარინი, 340.000 ცალი ლიმონი და ფორთოხალი. მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა მიღწეული წარმატებებისათვის მეურნეობას მეორე ხარისხის დიპლომი მიანიჭა.

მიმდინარე წელს ჩვენს წინაშე კიდევ უფრო დიდი და სერიოზული ამოცანებია დასახული. გასული წლის 118.000 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს უნდა ჩავაბაროთ 136.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი — 5.000 კილოგრამი საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე, უნდა მოვკრიფოთ 20.500 ათასი ცალი მანდარინის ნაყოფი, 6,5 მილიონი ცალით მეტი, ვიდრე შარშან, 1.050.000 ცალი ლიმონი ნაცვლად 260.000 ცალისა, ფორთოხლის მოსავალი 80.000 ცალიდან უნდა ავიყვანოთ 476.000 ცალამდე.

ჩვენ უკვე ჩავებით სოცშეჯიბრებაში ახალშენისა და ციხისძირის საბჭოთა მეურნეობებთან და მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მოწოდების საპასუხოდ ვიკისრეთ ვალდებულება გადაჭარბებით შევასრულოთ 1941 წლის გეგმები. მეურნეობის საწარმოო რაიონებს, ბრიგადებსა და მუშებს შორის ფართოდ გაიშალა ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. ვადაზე ადრე და ხარისხოვნად შევასრულეთ ჩაის პლანტაციების გადაბარვა და მათში მინერალური სასუქების შეტანა. დავიწყეთ და უახლოეს დღეებში დავამთავრებთ 12.000 ძირი ციტრუსის ფუმიგაციას ვერცხლისებრი ტკიპის საწინააღმდეგოდ.

შარშან ციტრუსოვანთა ბევრი ხისათვის არ მიგვიცია სასუქი. წელს კი ადგილობრივი რესურსების გამოყენებით უკვე დავაგროვეთ 1.300 ტონა ნაკელი. პლანტაციებში წელს პირველად შეგვაქვს აგრეთვე 1.500 ტონა ორგანული სასუქი. ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში წელს 25 პროცენტით მეტი სასუქების დოზა შეგვაქვს.

დღითიდღე იზრდება შრომის ნაყოფიერება. ამჟამად მეურნეობაში თითქმის არცერთი ისეთი მუშა არ არის, რომელიც გადაჭარბებით არ ასრულებდეს გამომუშავების დღიურ ნორმებს. მეურნეობის მუშამ ქენია დიმიტრიევამ, რომელსაც სოცშეჯიბრებაში ამავე მეურნეობის მუშა ა. ვასაძე ჰყავს გამოწვეული, ერთ დღეს 50 ბუჩქის ნაცვლად მძიმე წესით გასხლა 139 ძირი ჩაი. ვერა რიუკმა 22 მარტს შპალერული წესით 600 ბუჩქი ჩაი გასხლა, ნორმით კი 350 ბუჩქის გასხვლა იყო გათვალისწინებული. ლიდა ზაბოტინამ 653 ბუჩქი ჩაი გასხლა. ილია ბაკუშენკომ 63 ძირის ნაცვლად სასუქი ერთ დღეს 88 ძირ ციტრუსზე შეიტანა. სოცშეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ შრომის ნაყოფიერების ზრდის ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია.

შარშან მახინჯაურის (ბათუმის რაიონი) სუბტროპიკულმა მეურნეობამ სახელმწიფოს 1.300 ათასი მანეთის მოგება მისცა, წელს კი ვიბრძვით იმისათვის, რომ მოგება 2.500 ათას მანეთამდე ავიყვანოთ.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გადაჭარბებით შევასრულოთ 1941 წლის გეგმები, გამარჯვებული გამოვიდეთ სოცშეჯიბრებაში და მოვიპოვოთ მოწინავე საბჭოთა მეურნეობების დასაჯილდოებლად დაწესებული რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა.

არონ კიტია

მახინჯაურის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ორდენოსანი.

ბოლო მოელო გათანაბრებას

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებამ საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ სიღნაღის რაიონის კოლმეურნეებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

საკოლმეურნეო ბრიგადებში, რგოლებში, მეცხოველეობის ფერმებში, საგაზაფხულო სამუშაოთა ყველა უბანზე კოლმეურნე აგიტატორებმა, აგრონომებმა, ზოოტექნიკოსებმა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებმა ფართოდ მოაწყეს კოლმეურნეებისათვის აღნიშნული დადგენილების გაცნობა.

სოფ. ანაგის კოლმეურნეობა „გლეხის მაგალითის“ მემინდვრეობის რგოლის ხელმძღვანელმა ამხ. ვ. ბენაშვილმა დადგენილების განხილვისას იკისრა თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 13 ცენტნერი მარცვლეულის მოსავალი.

სოფ. ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში, იორზე აგიტატორებმა მწყემსებს განსაკუთრებული ყურადღებით გააცნეს პარტიისა და ხელისუფლების დადგენილების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია მეცხოველეობაზე. ბრიგადირმა ამხ. მ. ლეკიაშვილმა იკისრა მთლიანად შეინარჩუნოს ცხვრის ნამატი, დროზე ჩაატაროს ცხვრის პარსვა, თვითეულ ცხვარზე მიიღოს 4 კილოგრამი ყველი და სხვ. ასეთივე ვალდებულება იკისრა სტახანოველმა მწყემსმა მ. ბალარჯიშვილმა.

სოფ. მაღაროს კოლმეურნეობა „შრომის“ მემინდვრეობის რვა ბრიგადის ფართობებზე გამოყოფილია ნაკვეთები, სადაც თვითეულ ჰექტარზე გათვალისწინებულია 25 ცენტნერი ხორბლის მიღება. ამგვარად, წელს მთელი კოლმეურნეობა იბრძვის იმისათვის, რომ ყველა ფართობზე უზრუნველჰყოს საშუალოდ ჰექტარზე 100 ფუთი მარცვლეულის აღება. ამ ამოცანის შესრულებისათვის ენერგიულად იბრძვის კერძოდ მემინდვრეობის აღნიშნული 8 ბრიგადა 50 რგოლით.

აღნიშნული დადგენილების თვითეულ კოლმეურნემდე დაყვანის მიზნით კარგი საქმე გააკეთა სოფ. ბოდბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის 5-დღიურმა კედლის გაზეთმა — „კოლმეურნის გზით“. ამ გაზეთმა დადგენილების შესახებ მოათავსა მოწინავე წერილი, მოაწყო რგოლის ხელმძღვანელთა გამოხმაურება, მეცხოველეობის ფერმებში გამოუშვა გამსვლელი რედაქციის ფურცლები და სხვ.

მ. სააკოვი

სტალინური მზრუნველობა კოლმეურნეებზე

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების საფუძველზე წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემო-მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა განუწყვეტლივ იზრდება და მტკიცდება, კოლმეურნეები ხარობენ თავიანთი შრომის ბრწყინვალე შედეგებით. კოლმეურნეობაში მოწყობილია 7 სახის ფერმები; მათ შორის მეცხვარეობის ფერმაში 16.000-მდე ცხვარია, ხოლო სარძეო-სასაქონლო ფერმაში — 1.090 სული ძროხა და კამეჩი.

კოლმეურნეთა შორის განსაკუთრებით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და ენტუზიაზმი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილების გაცნობის შემდეგ.

— ეს დადგენილება გამსჭვალულია სტალინური მზრუნველობით კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეო მშრომელებზე, — აცხადებენ სტახანოველი კოლმეურნეები ბ. ჯამასპიშვილი, ნ. ნატროშვილი და სხვები.

პარტიისა და მთავრობის აღნიშნული დადგენილების გაცნობისთანავე, 20 მარტიდან კოლმეურნეობაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში ჩაება 17 ბრიგადა და 44 რგოლი. კოლმეურნეობამ იკისრა წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 100 ფუთი პური, 180 ფუთი სიმინდი, 90 ფუთი მზესუმზირა, 80 ცენტნერი ყურძენი, მეცხვარეობის, მეძროხეობისა და მეკამეჩეობის ფერმებში ნამატი მთლიანად შეინარჩუნოს. თვითეულ ცხვარზე მიიღოს 3,5 კილოგრამი მატყლი და 5 კილოგრამი ყველი, ფერმაში ნაცვლად ახლანდელი 700-ისა გაიჩინოს 3.000 ფრთა ქათამი, 150.000 ნამყენიდან მიიღოს 70 პროცენტი პირველხარისხოვანი ნერგი და სხვ.

კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები იკისრეს ცალკეულმა ბრიგადებმა და რგოლებმა. მაგალითად, ბრიგადირებს არსენ და სოსო გოგილაშვილებს აღებული აქვთ ვალდებულება თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 120 ფუთი თავთავიანი მარცვლეული.

კოლმეურნეობაში უკვე გაჩაღდა სტახანოვური მუშაობა. მაგალითად, ბაბულია და თინა ნასრაშვილები, რომლებიც წინათ საზოგადოებრივ ფართობებზე იშვიათად მუშაობდნენ, ახლა დღიურ ნორმებს 150 პროცენტით ასრულებენ. წინათ კოლმეურნეთა დაახლოებით 10 პროცენტი ყოველდღიურად აცდენდა სამუშაოს, ახლა გაცდენას ადგილი აღარა აქვს. კოლმეურნეობაში წარმატებით სრულდება ყველა სამუშაო: ჯეჯილის მარგვლა და ფარცხვა ჩატარებულია მთელ ფართობზე, ნაკვეთებში საჭირო რაოდენობით გატანილია ნაკელი და მინერალური სასუქები. მეცხვარეობის ფერმაში მიღებული 5.084 ბატკანი მთლიანად შენარჩუნებულია. ასევე შენარჩუნებულია კოლმეურნეობაში ხბოები, ზაქები და კვიცები.

პირობას ვიძლევით, რომ აღებულ ვალდებულებებს წარმატებით შევასრულებთ.

ი. გოგაშვილი

წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემო-მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ზრუნვა უხვი მოსავლის მისაღებად

თელავი („კომუნისტის“ კორ.). სოფ. კისისხევის კოლმეურნეობა „სოციალიზმის კარში“, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებისა და სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვის გაცნობის შედეგად გაძლიერდა საგაზაფხულო სამუშაოთა შესრულების ტემპები. კოლმეურნეთა შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ყველა კულტურის მოსავლიანობის გადიდებისა, მეცხოველეობაში ნამატის გაზრდის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და პროდუქტიულობის გადიდებისათვის. კოლმეურნეობამ, ნაცვლად 20 ჰექტარისა, გაზაფხულის ხორბალი დასთესა 28 ჰექ[illegible] მსხლის ბაღი გააშენა 1 ჰექტარზე. გარდა ამისა, კოლმეურნეობას სათბურებში გამოყვანილი აქვს კომბოსტოს, პომიდორის, ბადრიჯანის და სხვ. ნერგები

მუშა-პირუტყვით კოლმეურნეობაში მოხნულია 49 ჰექტარი. ნაცვლად გათვალისწინებული 2,4 ჰექტარისა, ყოველდღიურად ხნავენ 3 ჰექტარს, გუთნის-დედა ვ. მასურაშვილი სიღნაღელთა მომართვის საპასუხოდ აღებულ ვალდებულებას 140-150 პროცენტით ასრულებს. კოლმეურნეობაში 260 ჰექტარზე ჯეჯილის მარგვლა ჩატარებულია ორჯერ და დამატებითი გამოკვებისათვის ორგანული სასუქი შეტანილია 3,5 ჰექტარზე. თაგვის საწინააღმდეგო ბრძოლა მთელ ფართობზე ჩატარებულია [illegible] ვალდებულებათა განაღდებისათვის. მათ 4 დღეში დაამყნეს 120.000 ცალი ვაზი. აქ სულ დამყნილი იქნება 300.000 ცალი ვაზი. კოლმეურნეობა ამ სამუშაოს ვადაზე 5 დღით ადრე ასრულებს. ნ. ხუციშვილი, თ. ზაალიშვილი, ა. იობაშვილი და ფ. იობაშვილი დღეში, ნაცვლად 600-700 ცალისა, 1.100-1.200 ცალ ვაზს ამყნობენ.

კოლმეურნეთა კრებამ, რომელმაც განიხილა პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილება, გადასწყვიტა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებას სოფ. კონდოლის კოლმეურნეობასთან — „გზა სოციალიზმისაკენ“ და იკისრა 260 ჰექტარზე აიღოს საშუალოდ 12 ცენტნერი ჰექტარზე, ხოლო 20 ჰექტარზე — 17 ცენტნერამდე, სიმინდი — 25 ცენტნერი და ყურძენი — 60 ჰექტარზე საშუალოდ 80 ცენტნერი.

ა. აფხაზავა

გორის რაიონის ახალსოფლის მტს-ის მე-5 სატრაქტორო ბრიგადის აგიტატორი გაიოზ ბიძიშვილი უკითხავს ტრაქტორისტებს სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვას აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებისადმი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ტყიბულის რაიონის სოფ. ცუცხვათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები ტ. კუპრაშვილი და ე. აროშიძე სხლავენ ხეხილის ბაღს.

ფოტო დ. საბელაშვილისა.

კოლმეურნეობათა შემოსავლის ზრდა

საქართველოს სსრ მიწსახკომი ამთავრებს კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების ანალიზს. ანგარიშები ნათლად ცხადჰყოფენ საკოლმეურნეო წარმოების განუხრელ აღმავლობას, კოლმეურნეთა შეძლებულობის შემდგომს ზრდას.

საქართველოს 4.120 კოლმეურნეობის (გარდა ადიგენის რაიონისა) მარტო ფულადი შემოსავალი 1940 წელს 510.115 ათას მანეთს უდრიდა, 51.793 ათასი მანეთით მეტს, ვიდრე წინა წელს. თუ 1939 წელს თვითეულ კოლმეურნეობაზე 107 ათასი მანეთი ფულადი შემოსავალი მოდიოდა, შარშან ამ თანხამ 124 ათასი მანეთი შეადგინა.

1940 წლის განუყოფელი ფონდის შესავსები ანარიცხი უდრის 70.963 ათას მანეთს, ნაცვლად წინა წლის 60.956 ათასი მანეთისა. თუ 1939 წელს 251 კოლმეურნეობას არაფერი გადაურიცხავს განუყოფელ ფონდში, ანდა მათ დაწესებულ ნორმაზე ნაკლები გადარიცხეს, შარშან ასეთი კოლმეურნეობა მხოლოდ 23 იყო.

დიდი სახსრები — 151.558 ათასი მანეთი დახარჯეს შარშან კოლმეურნეობებმა კაპიტალურ მშენებლობაზე. ეს თანხა 1939 წლის დანახარჯს 33.618 ათასი მანეთით აღემატება.

ამ წარმატებებს კოლმეურნეობებმა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელი განხორციელებით, საკოლმეურნეო შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით მიაღწიეს. შარშან კოლმეურნეობებმა გამოიმუშავეს 128.959 ათასი შრომადღე, 13.069 ათასით მეტი, ვიდრე 1939 წელს. კოლმეურნეობის შრომისუნარიან წევრთა საერთო რიცხვიდან 1939 წელს 7,4 პროცენტს არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია, შარშან ეს რიცხვი 3,1 პროცენტით გამოიხატა. იმ შრომისუნარიან მამაკაცთა რიცხვი, რომელთაც არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებიათ 3,1 პროცენტიდან 0,8 პროცენტამდე შემცირდა. მნიშვნელოვნად გადიდდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომელთაც 300 და მეტი შრომადღე აქვთ გამომუშავებული.

წლითი - წლობით მატულობს ისეთი კოლმეურნეობათა რიცხვი, რომელნიც მილიონობით შემოსავალს იღებენ. ამჟამად საქართველოში 48 მილიონერი კოლმეურნეობაა, შარშან კი 37 იყო. მილიონერთა რიგებში ჩადგნენ თბილისის რაიონის სოფ. დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, სოფ. ავჭალის ბერიას სახელობისა, ყარაიის რაიონის სოფ. ქესალოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა, ბორჩალოს რაიონის სოფ. ყაჩაღანის კოლმეურნეობა „სოციალიზმი“, ლუქსემბურგის რაიონის სოფ. ფახრალოს პარიზის კომუნის სახელობისა, ბორჯომის რაიონის სოფ. ციხისჯვრის კოლმეურნეობა „ნეა-ზოე“, წითელ წყაროს რაიონის სოფ. ქვემო ქედის მახარაძის სახელობისა, მახარაძის რაიონის სოფ. გომის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“ და სხვ.

მილიონერ კოლმეურნეობათა ფულადმა შემოსავალმა 76.843.241 მანეთს მიაღწია. ისეთ კოლმეურნეობათა შემოსავალმა, როგორიც არის ქობულეთის რაიონის სოფ. დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა, ლუქსემბურგის რაიონის კიროვის სახელობისა, თეთრი-წყაროს რაიონის სოფ. ასურეთის ბერიას სახელობისა, 3-4 მილიონ მანეთს გადააჭარბა. თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელიც უმდიდრესი კოლმეურნეობაა საქართველოში, 6.667.567 მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღო.

ასეთია საკოლმეურნეო სოფლის მიერ წარსულ წელს მოპოვებული გამარჯვებანი. (საქტასი).

შრომის ნაყოფიერების გადიდების უდიდესი სტიმული

სოფ. ვეჯინის (გურჯაანის რაიონი) ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში საერთო კრებაზე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილების კოლმეურნეებისათვის გაცნობის შემდეგ გამგეობამ შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა კოლმეურნეთა შრომა არ იყოს გაუპიროვნებული და უზრუნველვყოთ მაღალი მოსავლის მიღება.

კოლმეურნეობამ გაიცნო აგრეთვე სიღნაღელთა მოწოდება სოცშეჯიბრების მოწყობის შესახებ, აიღო ახალი ვალდებულებანი და გააფორმა სოცშეჯიბრების ხელშეკრულება სოფ. ვეჯინის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობასთან. ამავე დროს სოცშეჯიბრებაში ჩაება კოლმეურნეობის ყველა ბრიგადა და რგოლი. ჩვენმა კოლმეურნეობამ პირობა დადო ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანოს ყურძენი — 80 ცენტნერი, სიმინდი — 25, ხორბალი — 12, კარტოფილი — 120, თამბაქო — 13 ცენტნერი და სხვ. მაგრამ ცალკეულ ბრიგადებსა და რგოლებში ბევრად უფრო მაღალი მოსავალი იქნება მიღებული. მაგალითად, ბრიგადირმა ვ. სიბაშვილმა იკისრა ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანოს 15 ცენტნერი ხორბალი, 14 ცენტნერი თამბაქო, 12 ცენტნერი მზესუმზირა და 30 ცენტნერი სიმინდი. ბრიგადირმა გ. დათუნაშვილმა კი აიღო ვალდებულება 100 ცენტნერი ყურძნის მოყვანაზე.

აღსანიშნავია რგოლის ხელმძღვანელთა ვალდებულებიც. მაგალითად, ი. მთიულიშვილი იბრძვის ჰექტარზე 120 ცენტნერი ყურძნის მიღებისათვის, ს. სეფიაშვილი კი — 14 ცენტნერი თამბაქოსათვის.

მაგრამ მარტო ვალდებულებათა აღება არ კმარა. საჭიროა ვალდებულებების ზუსტად დაცვა. ყველა სამუშაოს სანიმუშოდ შესრულება. ამ მიზნით კოლმეურნეობაში უკვე უზრუნველყოფილია ყველა შრომისუნარიანი წევრის გამოსვლა სამუშაოზე. მაგალითად, ა. სიბაშვილი წინათ ინვალიდობის საბაბით სრულიად არ მუშაობდა კოლმეურნეობაში, ახლა კი პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის დადგენილების შემდეგ დღეში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ცალისა 1.800 ცალ ვაზს ამყნობს. თამარ დათუნაშვილი, ახლა დღიურ ნორმას 150 პროცენტით და ხშირად მეტად ასრულებს. ბრიგადირმა ვ. სიბაშვილმა კი გეგმის გადამეტებით მოაგროვა 15 ტონამდე ნაკელი, ნაცარი და სხვა სასუქი, რაც საკოლმეურნეო ფართობებში გააქვს.

ახალი დადგენილების შედეგად კოლმეურნეთა მეტი დაინტერესებით და უკეთესი მუშაობით როგორც ვენახებში, ისე სათამბაქოე, სასიმინდე და სხვა ფართობებში ყველა სადღეისო სამუშაო უკვე ჩატარებული გვაქვს, მაგალითად, ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა, მავნებლებთან ბრძოლა და სხვ. ამავე დროს მეძროხეობის, მეღორეობისა და მეცხვარეობის ფერმებში ნამატი მთლიანად არის შენარჩუნებული.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს კოლმეურნეობაში ყველაფერი რიგზე იყოს. თვითეულ ძროხაზე გასულ წელს მხოლოდ 600 ლიტრი რძე მივიღეთ. დაბალია მეღორეობის პროდუქტიულობაც. კოლმეურნეობა პირობას იძლევა გაადიდოს როგორც ყველა სასოფლო სამეურნეო კულტურის მოსავალი, ისე კერძოდ მეცხოველეობაში თვითეულ სულ ძროხაზე წლის განმავლობაში უზრუნველჰყოს 800 ლიტრი რძის მიღება, ხოლო თვითეულ დედა-ღორზე — 10 გოჭის შენარჩუნება.

სოფ. ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **მ. ტაბატაძე**

ბრიგადირი **გ. დათუნაშვილი**

რგოლის ხელმძღვანელი **ს. სეფიაშვილი**

ვ. ტოგონიძე, საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომის მდივანი

ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებამ „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ“ წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეთა შორის დიდი აღფრთოვანება და საწარმოო ენტუზიაზმი გამოიწვია.

პარტიისა და მთავრობის ამ ისტორიული მნიშვნელობის დადგენილების და სიღნაღისა და მახარაძის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მიმართვების საპასუხოდ კოლმეურნეობებში ახალი ენერგიით გაიშალა მუშაობა საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის. სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ გაჩაღდა კოლმეურნეობებს, ბრიგადებსა, რგოლებსა, საკოლმეურნეო ფერმებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს შორის.

1940 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა მოსავლისა და შემოსავლის ზრდის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. თუ 1939 წელს რაიონში ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 3.322 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1940 წელს მიღებულია 3.438 კილოგრამი. ასევე გაიზარდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი.

რაიონში ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობა, ბრიგადა, რგოლი, რომლებმაც აგროღონისძიებათა ურყევად განხორციელებით, შრომის სწორი ორგანიზაციით მაღალი მოსავალი მიიღეს. მაგალითად, სოფ. ცხუნკურის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — ა. კაკაურიძე) 1940 წელს ჰექტარზე საშუალოდ 6787 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღო. სოფ. ქვილიშორის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობამ — 6.031 კილოგრამი, სოფ. მაღლაკის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ნ. ტყეშელაშვილმა კი — 8.738 კილოგრამი.

სოფ. მუხიანის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — ე. ბაბუნაშვილი) ჰექტარზე საშუალოდ 16,3 ტონა ბაღჩეული კულტურების მოსავალი მიიღო.

სოფ. მაღლაკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმამ (ფერმის გამგე — ამხ. ჩიხუნი) ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 ლიტრისა ერთ მეწველ ძროხაზე მიიღო 1.250 ლიტრი რძე.

წყალტუბოს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებამ, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, განიხილა პარტიისა და მთავრობის 1941 წ. 13 მარტის დადგენილება და მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მიმართვა მიმდინარე წელს მაღალი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებამ მახარაძელების მოწოდების საპასუხოდ ერთსულოვნად გადასწყვიტა წყალტუბოს რაიონი ჩაებას სოციალისტურ შეჯიბრებაში წულუკიძის რაიონთან და თავის მხრივ იკისრა შემდეგი ვალდებულებანი:

1941 წელს მოამზადონ 66 ჰექტარი ნიადაგი ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად, აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებით და პლანტაციების საუკეთესოდ მოვლით სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციების თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 2.800 კილოგრამი მწვანე ფოთოლი, სახელმწიფოს ჩააბარონ 798.000 კილოგრამი, 10 აპრილამდე მანდარინი გააშენონ 50 ჰექტარზე, ციტრუსოვანთა გაშენების 1942 წლის გეგმის უზრუნველსაყოფად პირველ დეკემბრამდე მოამზადონ ნიადაგი 53 ჰექტარზე, 1941 წელს დარგონ 90.000 ძირი ევკალიპტი, გააშენონ დაფნის პლანტაცია 30 ჰექტარზე. 1 მაისამდე დაამთავრონ სიმინდის თესვა, სულ დასთესონ 17.050 ჰექტარი სიმინდი, მოაწყონ კოლმეურნეობებში 130 სხვადასხვა სახის ფერმები, პირუტყვის ნამატი მთლიანად შეინარჩუნონ, უზრუნველჰყონ 2.800 კოლოფი აბრეშუმის ჭიის გამოკვება და სახელმწიფოს ჩააბარონ 1.505 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებსა, ბრიგადებსა, რგოლებსა, მეცხოველეობის ფერმებსა და კოლმეურნეთა შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. სოფ. ქვილიშორის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება აიღო 1941 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 4.000 კილოგრამი ჩაი. ამავე კოლმეურნეობის № 7 ბრიგადამ (ბრიგადირი — ნ. გოგიძე) — 5.000 კილოგრამი. № 1 ბრიგადამ (ბრიგადირი — დ. ვარდანიძე) მიიღოს 4.500 კილოგრამი, № 7 ბრიგადის რგოლის ხელმძღვანელმა ქ. ვარდანიძემ იკისრა ჰექტარზე მიიღოს 5.500 კილოგრამი.

სოფ. ქვილიშორის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება აიღო თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 20 ცენტნერი სიმინდი, ამავე კოლმეურნეობის № 3 ბრიგადამ (ბრიგადირი — ა. იობიძე) კი — 23 ცენტნერი, № 1 ბრიგადის რგოლის ხელმძღვანელი ს. იობიძე იბრძვის ჰექტარზე 28 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის. წყალტუბოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმის გამგემ ა. კუჭავამ იკისრა ვალდებულება თვითეულ ძროხაზე წლის განმავლობაში მიიღოს 1.700 ლიტრი რძე და მთლიანად შეინარჩუნოს ფერმაში მიღებული ნამატი.

კოლმეურნეები უკვე შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

წყალტუბოს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები პირობას იძლევიან აღმოფხვრან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, მთლიანად გამოიყენონ მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლის გადიდების ყველა საშუალება, გააუმჯობესონ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაცია, განამტკიცონ შრომის დისციპლინა, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სტახანოვური მოძრაობის განვითარებას და სტახანოვური მუშაობით უზრუნველჰყონ 1941 წელს მაღალი მოსავლის მიღება.

წყალტუბოს რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მასების გაშლილ ინიციატივას და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლას.

სისტემატურად შევამოწმოთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, დროულად გამოვასწოროთ შემჩნეული ნაკლოვანებანი და უზრუნველვყოთ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება, — ასეთია ამოცანა.

პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის დადგენილება ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის დაუღალავ მზრუნველობას კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის. მაშ, ვიყოთ ამ მზრუნველობის ღირსნი.

ინგლის-გერმანიის ომი

ბერლინი, 30 მარტი (საკდესი). გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობა იუწყება: ინგლისის გემების იმ ქარავნის შემადგენლობიდან, რომელსაც ძლიერი ბადრაგა მიჰყვებოდა, გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს სამი ტანკერი 24 ათას სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა და ხუთი გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 33 ათას სარეგისტრო ბრუტო-ტონას შეადგენდა. ამრიგად, განადგურებულია ინგლისს მიმავალი ქარავნის ნახევარზე მეტი, ესე იგი 8 გემი 57 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა საერთო წყალწყვისა. შემდეგ გერმანიის ერთმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ორი ტანკერი, რომელთა საერთო წყალწყვა 18 ათას სარეგისტრო ბრუტო-ტონას შეადგენდა.

29 მარტს, საღამოს, კუნძულ კრეტის დასავლეთით გერმანიის ყუმბარმშენებმა წარმატებით მიიტანეს იერიში ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიდი შენაერთის წინააღმდეგ. სამი ყუმბარა ინგლისის ავიოსანს მოხვდა. გაჩაღდა საჰაერო ბრძოლა, რომლის დროსაც გერმანიის ყუმბარმშენებმა ჩამოაგდეს ინგლისის ავიაგამანადგურებელი. გერმანიის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა. გუშინ ინგლისის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე გერმანიის თვითმფრინავებმა ცეცხლი გაუჩინეს მტრის ტანკერსა და დიდ სავაჭრო გემს. წმინდა გიორგის სრუტეში გერმანიის ავიაციამ კიდევ ერთი გემი ჩასძირა. შეიარაღებულმა საზვერავმა თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე სანავსადგურო ნაგებობებსა და ბარაკებს. 29 მარტს ღამით გერმანიის ყუმბარმშენთა შენაერთებმა კვლავ წარმატებით დაუშინეს ყუმბარა სამხედრო მნიშვნელობის ობიექტებს ბრისტოლში. ბომბარდირების შედეგად ბევრგან ძლიერი ხანძარი გაჩნდა. მოწინააღმდეგის თვითმფრინავები გერმანიის ტერიტორიაზე არ გამოჩენილან.

ლონდონი, 30 მარტი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 29 მარტს, ღამით მოწინააღმდეგის ავიაციის მოქმედება ინგლისში დიდად მნიშვნელოვანი არა ყოფილა და ინგლისის დასავლეთი ნაწილით განისაზღვრებოდა. ხანმოკლე იერიში მიტანილია ბრისტოლის არხის რაიონში მდებარე ერთ პუნქტზე. მოწინააღმდეგის თვითმფრინავები უკუქცეულ იქნენ, მაგრამ მათ მოასწრეს ერთგვარი ზიანი მიეყენებინათ სავაჭრო საწარმოებისა და საცხოვრებელი სახლებისათვის. მსხვერპლის რაოდენობა დიდი არ არის. სხვა რაიონებიდან მიღებულია ცნობები, რომელთა თანახმად ბომბარდირებას უმნიშვნელო მატერიალური ზიანი გამოუწვევია.

როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 29 მარტს, ღამით, ლონდონში რვა დღის სიწყნარის შემდეგ პირველად გამოცხადდა საჰაერო განგაში, რომელიც ცოტა ხანს გაგრძელდა. 29 მარტს, დღისით, გერმანიის ავიაცია უმნიშვნელო აქტივობას იჩენდა ინგლისის ზოგიერთ სანაპირო რაიონში. აღმოსავლეთ ინგლისის რამდენიმე პუნქტში ჩამოჰყარეს ყუმბარები, რომლებმაც ერთგვარი ზარალი გამოიწვიეს. მსხვერპლი არა ყოფილა.

29 მარტს, დღისით, ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა შეიარაღებული ზვერვა მოახდინეს ბელგიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში. მტრის აეროდრომს, გზებს, რკინიგზის ტრანსპორტს, აგრეთვე სხვადასხვა გემებს, რომლებიც სანაპიროსთან იყვნენ, ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს. ინგლისის ავიაგამანადგურებლებისათვის მტრის ავიაციას წინააღმდეგობა არ გაუწევია და ისინი მშვიდობიანად დაბრუნდნენ თავიანთ ბაზებში.

სამხედრო მოქმედება ალბანეთში

ათენი, 30 მარტი (საკდესი). გუშინ, საღამოს, საბერძნეთის სარდლობამ გამოაქვეყნა ცნობა, სადაც ნათქვამია: „ფრონტზე არტილერიისა და მზვერავი რაზმების მოქმედებაა. საბერძნეთის ჯარმა ხელთ იგდო სამხედრო ტყვეები. საბერძნეთის ავიაციამ წარმატებით დაუშინა ყუმბარა მტრის სამხედრო მასალის საწყობებს, რის შედეგადაც ბევრგან ხანძარი გაჩნდა. საბერძნეთის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა".

საბერძნეთის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კომუნიკეში, რომელიც 29 მარტს, საღამოს, გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ დღის განმავლობაში „მტრის ავიაცია საბერძნეთის შიდა რაიონებს თავს არ დასხმია".

ლონდონი, 30 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ათენიდან გადმოგვცემს, რომ 28 მარტს ალბანეთის ფრონტზე საბერძნეთის ჯარის პატრულები ღრმად შეიჭრნენ იტალიის პოზიციებში და რამდენიმე ტყვე წამოიყვანეს. მიღებულია ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები. იტალიელებს არ უცდიათ შეტევის დაწყება.

სამხედრო მოქმედება აფრიკაში

ლონდონი, 30 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდლობის კომუნიკეს, სადაც ნათქვამია, რომ 28 მარტს ინგლისის ავიაცია განაგრძობდა ოპერაციებს კირენის სამხრეთით. ინტენსიური ბომბარდირება განიცადა მტრის ჯარმა და ავტოკოლონამ ასმარის რაიონში. თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს საარტილერიო სანგრებსა და ხიდებს. სერიოზულად არის დაზიანებული სულ ცოტა 50 ავტომობილი. მტრის ჯარმაც საგრძნობი ზარალი ნახა.

ლონდონი, 30 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო კაიროდან იუწყება, ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლისის ჯარი კვლავ წინ მიიწევს ხარარიდან დირედაუასაკენ მიმავალი გზით; აქ მან დასძლია მტრის წინააღმდეგობა და ხელთ იგდო ტყვეები და იარაღი. აბისინიაში სხვა მიმართულებებითაც მტერი უკან იხევს. ერიტრეის ფრონტზე ინგლისის ჯარი სულ უფროდაუფრო წარმატებით მიიწევს ასმარისაკენ, ამასთან აქ ტყვედ წამოყვანილია 3.775 იტალიელი, მათ შორის 68 ოფიცერი; ინგლისის ჯარმა ხელთ იგდო აგრეთვე რამდენიმე ზარბაზანი.

გერმანიის ყუმბარმშენების თავდასხმა ინგლისის გემების ქარავანზე

ნიუ-იორკი, 30 მარტი (საკდესი). ასოშეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, რომელიც აღმოსავლეთ კანადის ერთერთ ნავსადგურში იმყოფება, სავაჭრო ფლოტის მეზღვაურებმა განაცხადეს, რომ ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში გერმანიის შორი მოქმედების 6 ყუმბარმშენი თავს დაესხა ინგლისის გემების ქარავანს. ინგლისის საზენიტო არტილერიამ 4 თვითმფრინავი ჩამოაგდო და ერთი დააზიანა. მეზღვაურთა სიტყვით, ამ ქარავნის გემების ნაწილი ჩაძირულ იქნა.

ხმელთაშუა ზღვაში მომხდარი საზღვაო ბრძოლის დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 30 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის საზღვაო სამინისტრომ 30 მარტს შემდეგი კომუნიკე გამოაქვეყნა: „ინგლისის ხმელთაშუა ზღვის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალი, ადმირალი კენინგჰემი იუწყება, რომ ხმელთაშუა ზღვაში მომხდარი საზღვაო ბრძოლის დროს ინგლისის ხომალდებს არავითარი ზარალი და არავითარი ზიანი არ მოსვლიათ. მაგრამ არ მოიპოვება ცნობები ინგლისის ზოგიერთი თვითმფრინავის შესახებ. დღემდე მიღებული დადასტურებული ცნობებით, ჩაძირულია იტალიის შემდეგი ხომალდები: კრეისერები „ფიუმე", „პოლა", „ცარა", დიდი საესკადრო ნაღმოსანი „ვინჩენცო ჯობერტი" და საესკადრო ნაღმოსანი „მაესტრალე". მოველით შემდგომს დაწვრილებით ცნობებს".

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ზოგიერთ ცნობას იტალიის ხომალდების შესახებ. სამივე კრეისერს აქვს 10 ათასი ტონა წყალწყვა თვითეულს. თვითეული მათგანის მთავარი საჭურველი შესდგება რვა 8-დუიმიანი ქვემეხისაგან, ეკიპაჟის შემადგენლობა უდრის 705 კაცს. საესკადრო ნაღმოსან „ვინჩენცო ჯობერტის" მშენებლობა დამთავრდა 1936 წელს, ხომალდის წყალწყვა უდრის 1.700 ტონას, ეკიპაჟი 157 კაცისაგან შესდგება. საესკადრო ნაღმოსან „მაესტრალეს" წყალწყვა უდრის 1.500 ტონას.

გერმანიის კომისია ჩრდილოეთ აფრიკაში გაემგზავრა

ნიუ-იორკი, 29 მარტი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, გერმანიის კომისია, რომელიც მეთვალყურეობას უწევს დროებითი ზავის პირობების შესრულებას, თვითმფრინავით მარსელიდან ჩრდილოეთ აფრიკაში გაფრინდა.

პარიზის ჟურნალ „ილუსტრასიონის" გავრცელების აკრძალვა

ნიუ-იორკი, 30 მარტი (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი ვიშიდან იუწყება, საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონაში აკრძალულ იქნა პარიზის ჟურნალ „ილუსტრასიონის" გავრცელება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ჟურნალში მოთავსებულია სტატია, რომელიც მხარს უჭერს ლავალსა და თავს ესხმის მის მოწინააღმდეგეებს. ამას წინათ ჟურნალმა „ილუსტრასიონმა" გაილაშქრა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

იუნაიტედ პრესი ლიბიაში იტალია-გერმანიის მოსალოდნელი შეტევის შესახებ

ნიუ-იორკი, 29 მარტი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ვიშის სამხედრო მეთვალყურეთა უმრავლესობა მოელის, რომ იტალია და გერმანია დაუყოვნებლივ დაიწყებენ სახმელეთო შეტევას სირტის უდაბნოში (ლიბია) სანაპიროს გასწვრივ ბენგაზის მიმართულებით. ეს ოპერაცია დაწყებულ იქნება იმ მიზნით, რომ გააადვილონ იტალიის არმიის მდგომარეობა აბისინიაში ჯერ კიდევ ადის-აბების დაცემამდე და აიძულონ ინგლისელები აღმოსავლეთ აფრიკიდან მაშველი ძალები გადაიყვანონ ლიბიაში. გადმოგვცემენ, რომ გერმანიას თვითმფრინავებით ყოველდღე 500 კაცი გადაჰყავს ტრიპოლს, უმთავრესად ტექნიკური პერსონალი. ამ უკანასკნელის დანიშნულებაა გააძლიეროს ლიბიაში მომქმედი გერმანიის პირველი მოტომექანიზებული დივიზია, რომელიც უკვე მონაწილეობდა ელ-აგეილის დაკავების ოპერაციებში.

ამერიკის გემების გადაცემა ინგლისისათვის

ნიუ-იორკი, 30 მარტი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, მთავრობის საზღვაო კომისიამ მოიწონა ინგლისისათვის გემების „ემა ალექსანდერისა" და „გ. ფ. ალექსანდერის" გადაცემა, რომელთაგან თვითეულის წყალწყვა დაახლოებით 8 ათას ტონას შეადგენს, აგრეთვე 9 ორჩხომელის გადაცემა, რომელთაგან თვითეულის სიგრძე 50-დან 70-მდე ფუტს უდრის.

სახალხო კონგრესის კომიტეტთა მოღვაწეობა ინგლისში

ლონდონი, 30 მარტი (საკდესი). სახალხო კონგრესის ნაციონალურმა კომიტეტმა დაადგინა, 9 აპრილს გაგზავნოს ინგლისის სასურსათო მომარაგების მინისტრთან ვულტონთან ნაციონალური დელეგაცია, რომელიც მას გადასცემს მოთხოვნებს სასურსათო მომარაგების გაუმჯობესების შესახებ. ვულტონმა განაცხადა დელეგაციას არ მივიღებო, მაგრამ დელეგაციის წევრები აღნიშნავენ, რომ ისინი, მიუხედავად ამისა, მივლენ სასურსათო მომარაგების სამინისტროში და დაჟინებით მოითხოვენ, რომ მათ მოუსმინოს მინისტრმა. დელეგაცია შედგენილია მთელი ინგლისის ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

სახალხო კონგრესის სამხრეთ უელსის კომიტეტმა იკისრა, ხელმძღვანელობა გაუწიოს კამპანიას სამხრეთ უელსში მომარაგების ნორმების გადიდებისათვის, ფასების დაკლებისა და საზოგადოებრივი კვების ცენტრების შექმნისათვის. კომიტეტის მოქმედებას მხარს უჭერენ ქალთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. 14 ათასზე მეტმა კაცმა ხელი მოაწერა თხოვნას, რომელშიც ჩამოყალიბებულია ეს მოთხოვნები. 1 მაისისათვის განზრახულია დელეგაციის გაგზავნა სამხრეთ უელსის სასურსათო მომარაგების რწმუნებულთან.

მაცუოკა ბერლინიდან გაემგზავრა

ბერლინი, 30 მარტი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ ბერლინში 5 დღის ყოფნის შემდეგ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მაცუოკა დღეს, ნაშუადღევს, რომს გაემგზავრა.

ინდო-ჩინეთის დათმობანი იაპონიისადმი

ნიუ-იორკი, 29 მარტი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ტაისა და საფრანგეთის ინდო-ჩინეთის მოლაპარაკების დროს ამ უკანასკნელმა ნება დართო იაპონიას კოხინხინში იყოლიოს 12 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი და თავისუფალი ნაოსნობა გასწიოს მდინარე მეკონგზე. იაპონიის მიეცა საბაჟო პრივილეგიები, ინდო-ჩინეთის წყლებში თევზჭერის უფლება და თავისუფალი საკაბოტაჟო ნაოსნობის უფლება. ინდო-ჩინეთმა უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს თავის ვალუტასა და იაპონურ იენს შორის და იაპონიის საქონლის სანაცვლოდ კაუჩუკის მთელი პროდუქცია უნდა მიაწოდოს იაპონიას.

გერმანიის საკონსულოს გახსნა მანჯურიის სადგურზე

ტოკიო, 29 მარტი (საკდესი). გაზეთ „ასახის" ცნობით, 22 მარტს მანჯურიის სადგურზე გაიხსნა გერმანიის საკონსულო.

იტალია-გერმანიის თათბირი კოლონიების საკითხებზე

იტალიური გაზეთი „პოპოლო დ'იტალია" იუწყება, რომ 23 მარტს ნეაპოლის უნივერსიტეტში გაიხსნა იტალია-გერმანიის თათბირი კოლონიების საკითხებზე. თათბირი მოწვეულ იქნა იტალიის აფრიკის ფაშისტური ინსტიტუტის ინიციატივით. თათბირში მონაწილეობას იღებდნენ იტალიის აფრიკის სამინისტროს წარმომადგენელი, აბისინიის ხარარის პროვინციის გუბერნატორი, გერმანიის გენერალური კონსული და გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი.

30 მარტი (საკდესი).

კოსტა ხეთაგუროვი

(გარდაცვალებიდან 35 წლისთავის გამო)

დღეს შესრულდა 35 წელი ოსი ხალხის მომღერლის, დიდი მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის კოსტა ლევანის-ძე ხეთაგუროვის გარდაცვალებიდან.

ოდესღაც დევნილი, დაბეჩავებული და ჩაგრული ოსი მშრომელი ხალხი დღეს ძლევამოსილ საბჭოთა კავშირის დიდ ოჯახში ჰქმნის ფორმით ნაციონალურ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებამ უზრუნველჰყო ოსეთის მშრომელი ხალხის ბედნიერი და სამური ცხოვრება. მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი პატარა ერების სამოღვაწეოდ გამოყვანა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოქმედების ფართო ასპარეზზე.

კოსტა ხეთაგუროვის მხატვრულ შემოქმედებას აღორძინების გზაზე მდგომი ოსეთის სოციალისტური კულტურის საგანძურში ბრწყინვალე ადგილი უჭირავს. კ. ხეთაგუროვი არის ფუძემდებელი ოსური სამწერლო ენისა და ლიტერატურისა, რომლის განვითარებას და ზრდას მან სწორი გეზი მისცა თავისი მხატვრული შემოქმედებით.

კოსტა ხეთაგუროვი დაიბადა 1859 წლის 16 ოქტომბერს ოსეთში, აულნარში. მომავალი პოეტი ბავშვობიდანვე დიდ გაჭირვებაში იზრდებოდა. მან თავისი ყრმობა მწყემსობაში გაატარა, თავიდანვე ახლოს გაიცნო ღარიბი ხალხის აუტანელი ცხოვრება. დედით ობოლი კოსტა, დედინაცვლის ხელში უდიდეს დამცირებას განიცდიდა. იგი ღრმა მწუხარებაში მყოფი მოსთქვამს:

„ვინ არის დედა, სადა მყავს მამა?
რად ვიტანჯები განმარტოებით?"

მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა, კოსტა იკაფავს გზას ცოდნის შესაძენად და, ბოლოს, ახერხებს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში შესვლას. 1883 წელს იგი აკადემიაში სწავლას თავს ანებებს, ბრუნდება სამშობლოში და ცხოვრობს ქ. კავკავში (ქ. ორჯონიკიძე).

ამ დროს კოსტა ხეთაგუროვი უკვე ცნობილი პოეტი და მომღერალია, ოსეთის მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი, უაღრესი ლირიკული გულწრფელობით პოეტი რეალურ სახეებში გვიხატავს ხალხის ბერავ ცხოვრებას და უნერგავს მას საბრძოლო განწყობილებას სამშობლო ქვეყნის მჩაგვრელთაგან განთავისუფლებლად. ლექს „ნანაში" პოეტი უდიდესი სიყვარულით მოისავს მომავალ თაობას და მასში ხედავს თავისი ქვეყნის ხსნის იმედს. მისი ჩანგის ჟღერაში გაისმის უდიდესი პატრიოტული გრძნობები. მის შემოქმედებაში სჩანს დიდი სიყვარული თავისი ქვეყნისა და ღარიბ-ღატაკი ხალხისადმი. მისი ფიქრები, მისწრაფებანი და ოცნე-

ბა თავს დასტრიალებენ საყვარელ ხალხს, სამშობლოს, მის მთებს და აულებს. დიდი მგოსანი ხალხის გულის სიღრმიდან არის მოსული და მთელი თავისი არსებით იბრძვის მისი ტანჯვის მოსასპობად.

ხალხის სიღარიბის და შიმშილის გულმომკვლელ სურათს გადაგვიშლის პოეტი ლექსში—„ობლების დედა" იგი ხალხს მოუწოდებს — დაამსხვრიოს მონობის ბორკილები დიადი თავისუფლების მოსაპოვებლად.

კოსტას შემოქმედება ხალხმა შეიყვარა, რადგან მგოსანი თავისი ჩანგით მას უმღეროდა:

„მოვემართავ ჩონგურს, დატოვებულს აქამდე ობლად,
გადავივიწყებ შენს სიმღერას და ნაცნობ ველებს,
მოგზაურობას კვლავ დავიწყებ სოფლიდან სოფლად
და ხალხს სიმღერით, სიყვარულით შევუშრობ ცრემლებს!"
(„მადლობელი ვარ")

კოსტა ხეთაგუროვის მაღალმხატვრულ ლექსთა კრებული „ირონ ფანდირ" (ოსური ჟნარი) გამოვიდა 1889 წელს, იგი გამოსვლისთანავე აკრძალა მეფის მთავრობამ.

თავის ლექსებში—„ობლების დედა", „სიმღერა", „განდევნილი", „გაზაფხული", „მუზას", „ნანა", „მონის სიმღერა", „არ ვარ პოეტი". პოემებში: „ყუბადი", „მწყემსი", „ფატიმა", „სასამართლოს წინაშე". პიესაში—„დუნია". მოთხრობაში — „ქიხვებზე ნადირობა" და სხვ. პოეტმა გადაგვიშალა მშრომელი ხალხის განვლილი ტანჯვა და ბრძოლები უკეთესი მომავლისათვის. კოსტა უმღერის ერთა ძმობას და სიყვარულს. მისი შემოქმედება რევოლუციური პროტესტია ოსი მშრომელი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

კოსტა ხეთაგუროვი განიცდიდა დევნას და შევიწროებას მეფის მთავრობისაგან, რადგან ის უკანასკნელი მის შემოქმედებაში თავის საწინააღმდეგო იდეებს ხედავს. იგი დიდხანს იყო სამშობლოდან გადასახლებული. დაავადმყოფებული მგოსანი გარდაიცვალა 1906 წლის 1 აპრილს და დასაფლავებულია ქ. ორჯონიკიძეში.

დიდმა მგოსანმა თავისი მხატვრული შემოქმედებით, მშრომელთა ხალხის გულში ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა. მან თავისი ნათელი და მრავალტანჯული ცხოვრებით პირნათლად მოიხადა ვალი თავისი მშობელი ხალხის წინაშე და „ბრძოლაში მგოსნის გული მართალი შეეწირა ხალხის კეთილდღეობას".

ოსი ხალხის საუკეთესო შვილის — კოსტა ხეთაგუროვის უდიდესი მისწრაფება:—

„ეხ, ვინ იცის, როს დავამსხვრევთ ბორკილებს,
როს დადგება დრო — დავლეწოთ ხუნდები
და დაჩაგრულ ქვეყნის წამებულ შვილებს
განათებდეს შუქი თავისუფლების"...

უკვე განხორციელებულია. ხალხთა ძმურ ოჯახში ოსეთის მშრომელი ხალხი ამღერებულია დიადი სტალინური ეპოქის მზის ბრწყინვალებით.

კოსტა ხეთაგუროვის მთელი შემოქმედება ერთნაირად საყვარელია როგორც ოსი ხალხისათვის, ისე ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის მთლიან ოჯახში გაერთიანებული მოძმე რესპუბლიკების ყველა ხალხისათვის, რომლებმაც შარშან წინ საყოველთაო-სახალხო ზეიმით აღნიშნეს პოეტის დაბადების 80 წლისთავე.

კოსტა ხეთაგუროვის უკვდავმა შემოქმედებამ სოციალისტური კულტურის საგანძურში ახლა საპატიო ადგილი დაიკავა. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჩვენს ეპოქაში, ლენინ-სტალინის მზიან ხანაში.

შ. გოზალიშვილი

8 ქალაქის მატჩი

ლენინგრადში დამთავრდა 8 ქალაქის (მოსკოვის, ლენინგრადის, კაუნასის, ტარტუს, რიგის, თბილისის, ოდესისა და ბაქოს) ოსტატ კალათბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი.

თბილისელთა გუნდის გადამწყვეტი შეხვედრა ტარტუს უძლიერეს გუნდთან დამთავრდა პირველის დამარცხებით ანგარიშით 36:29.

ამრიგად, მატჩის საბოლოო შედეგები ასეთია: პირველ ადგილზეა ტარტუს გუნდი, მეორეზე—თბილისი, ხოლო მესამეზე—რიგა.

ფეხბურთი

ლენინგრადი — თბილისი

30 მარტს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე შესდგა მიმდინარე წლის საფეხბურთო სეზონის პირველი საქალაქთაშორისო ამხანაგური მატჩი. თამაშობდნენ ლენინგრადის „დინამოს" ოსტატთა და თბილისის „დინამოს" პირველი გუნდები. მატჩი დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

აღსანიშნავია, რომ სტადიონის ტრიბუნები დანაგვიანებული იყო. ადმინისტრაციამ ამ ნაკლს დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება.

ახალი ექსპონატები ლენინის მუზეუმის ფილიალის ხელოვნების დარბაზში

ვ. ი. ლენინის მუზეუმის საქართველოს ფილიალს გადაეცა რამდენიმე ახალი ძვირფასი ექსპონატი — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის ზეიმზე მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული დელეგაციების მიერ ქართველი ხალხისათვის ჩამოტანილი საჩუქრები. ეს საჩუქრები ამ დღეებში გამოფენილი იქნება ვ. ი. ლენინის მუზეუმის საქართველოს ფილიალის ხელოვნების დარბაზში.

ახალ ექსპონატებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ უკრაინის მშრომელთა დელეგაციის მიერ ჩამოტანილი საჩუქარი—დიდი მხატვრული გობელენი „ამხანაგი სტალინი სსრ კავშირის ხალხთა წარმომადგენლებს შორის". გობელენი შესრულებულია დიდი მხატვრული გემოვნებით და მაღალი ოსტატობით (ის კიევის სამხატვრო-სარეწაო სკოლის სტუდენტთა ნამუშევარია. ხელმძღვანელობდა უკრაინული ხალხური შემოქმედების ოსტატი ნატალია ვოვკი. სურათი შესრულებულია მხატვარ მ. რონიცკის ესკიზის მიხედვით).

შესანიშნავია აგრეთვე ხალიჩები, რომლებზეც ამოქარგულია ამხანაგ სტალინის პორტრეტები. ასეთი ხალიჩები მიღებულია საჩუქრად აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და უზბეკეთის სს რესპუბლიკების მშრომელთაგან. თვითეული ამ ხალიჩათაგანი წარმოადგენს ხალხური შემოქმედების ძვირფას ნიმუშს და თვითეულს ახასიათებს თავისებური სილამაზე და კოლორიტი.

აქვე გამოფენილი იქნება მოძმე სომეხი ხალხის დელეგაციის მიერ ჩამოტანილი საჩუქარი—ძვირფასი ხალიჩა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას პორტრეტით. ხალიჩა მოქსოვილია და ზედ პორტრეტი ამოქარგულია იშვიათი ოსტატობით.

ექსპონატებისათვის შეკვეთილია სპეციალური ჩარჩოები.

კონკურსი საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომზე

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომზე ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებისათვის, რომელთაც მიღებული აქვთ განათლება 1930 წლის შემდეგ.

ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს ორიგინალურ საკვლევო ხასიათის ახალ ნაწარმოებს და მისი თემა დაკავშირებული უნდა იყოს სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ საკითხებთან. საკონკურსო ნაშრომის წარმოდგენის ვადად დაწესებულია 1942 წლის 1 იანვარი.

საუკეთესო ნაშრომებზე უნივერსიტეტმა დააწესა პრემიები. პირველი პრემია შეადგენს 1500 მანეთს, მეორე—1000 მანეთს, მესამე—500 მანეთს.

გამომუშავებულია საკონკურსო ნაწარმოებთა წარმოდგენის საერთო წესი. საკონკურსო შრომა წარმოდგენილ უნდა იქნას სამ ცალად დევიზით, უნდა დაერთოს დაბეჭდილი კონვერტი, რომელშიაც აღინიშნება ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი. კონვერტზე წარწერილი უნდა იყოს „ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კონკურსისათვის".

კონკურსის ჩასატარებლად გამოყოფილი იქნება სპეციალური ჟიური კონკურსის შედეგების შეფასება მოხდება 1942 წლის 30 თებერვლისათვის.

ასეთივე კონკურსი ეწყობა სტუდენტთა საუკეთესო მეცნიერულ ნაშრომზეც. ამ მუშაობაში სტუდენტებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით ფაკულტეტები ცალკე სპეციალობათა მიხედვით გამოაქვეყნებენ საკონკურსო თემებს, რომლებიც ეხება აქტუალურ საკითხებს მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. საუკეთესო ნაშრომზე წესდება სამი ჯილდო: პირველი—1000 მანეთის რაოდენობით, მეორე 600 და მესამე — 300 მანეთის რაოდენობით.

შრომა, რომელიც პირველ ჯილდოს მიიღებს, შეიძლება დაიბეჭდოს ცალკე წიგნად ან კრებულში. სტუდენტმა, რომელიც შრომას საკონკურსოდ გაგზავნის, კონვერტზე უნდა აღნიშნოს — „სტუდენტთა კონკურსისათვის".

მშრომელთა დეპუტატების თბილისის 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს VI სესია

2 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. 26 კომისრის სახელობის რაიკომის სხდომათა დარბაზში (შაუმიანის ქ. № 1) შესდგება მშრომელთა დეპუტატების თბილისის 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს VI სესია.

რაისაბჭოს დეპუტატები შედიან თავიანთი მანდატებით.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომი.

ლექცია

2 აპრილს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში რუსულ ენაზე ჩატარდება მორიგი ლექცია: **„სსრ კავშირის შექმნა და პარტიის ბრძოლა ორ ფრონტზე ნაციონალურ საკითხში".** (საქ. კ. პ (ბ) ისტორიის ლექციათა ციკლიდან).

ლექციას წაიკითხავს ამხ. **ნიკიტენკო.**

რადიოგადაცემა დღეს

12.00—კონცერტი (ქართველი კომპოზიტორების კამერული ნაწარმოებები), 12.45 — აგრონომ პოჭუას საუბარი ქართულ ენაზე: „ვაზის გასხვლა"; 12.58 —დროის შემოწმება; 13.00 — უკანასკნელი ცნობები; 13.15 — მუსიკალური კომპოზიცია „კრემლი" ეფენდი კაპიევის ნოველის მიხედვით; 14.15—ოსური მუსიკის კონცერტი; 16.50 — გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.00 — გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე; 17.45 —საუბარი ქართულ ენაზე: „ტექნოლოგიური დისციპლინა წარმოების ურყევი კანონია"; 18.00—მსუბუქი მუსიკის კონცერტი; 18.58—დროის შემოწმება; 19.00 — უკანასკნელი ცნობები; 19.30—კონცერტი (ნაწყვეტები ქართველ კომპოზიტორთა ოპერებიდან); 20.00—უკანასკნელი ცნობები; 20.30 — საესტრადო კონცერტი; 21.15—ლექცია მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად ქართულ ენაზე: „პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში"; 22.00—უკანასკნელი ცნობები; 23.30 — საცეკვაო მუსიკა; 00.10 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება ქართულ ენაზე; 00.30—უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება (მოსკოვიდან).

დღეს, 1 აპრილს, საღამოს 7 საათზე გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის მუშსოფლკორთა კაბინეტში (ლენინის ქ. 28, მე-4 სართული, ოთახი 17) შესდგება რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა გადასამზადებელი კურსების მსმენელთა

პირველი მეცადინეობა

დასწრება სავალდებულოა პარტ. რაიკომების მიერ შერჩეული ამხანაგებისათვის.

გაზ. „კომუნისტის" რედაქცია.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯონიკიძის მოლოტოვის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1464553, გაცემული გიორგი იოსების-ძე თანდილაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3069238, გაცემული გიორგი ლუკას-ძე გაბედავას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „ქეთო და კოტე" (მე-7 აბ მე-10 წარმ.), რუსთაველის სახელობის—„უკანასკნელი რაინდი", მარჯანიშვილის სახელობის — „კრემლის კურანტები" (სერია 1 აბ. მე-7 წარმ.), მუსკომედია — „სკაპენის ოინები", სანკულტურის ქართული თეატრი — „სინასული".

კინოებში: რუსთაველის სახ.—„ვალერი ჩკალოვი", ოქტომბერი—„ვალერი ჩკალოვი", დამკვრელი — „ვალერი ჩკალოვი", დღისით — „საჰაერო ფოსტა", კომკავშირელი — „კონცერტ-ვალსი", ლუქსემბურგის სახ. — „კონცერტი-ვალსი", სპარტაკი — „ოქროს მთები", კომინტერნი — „ტარასის ბედი" და „ბუკოვინა-უკრაინის მიწა", განთიადი — „სალავათ იულაევი", წითელ არმიის სახლი — „უკანასკნელი ბანაკი", ვოროშილოვის სახელობის კლუბი — „სუვოროვი", მეცნიერება და ცოდნა — „ვიტამინები", საზკვების კავშირის კლუბი — „პეტრე პირველი" (მეორე სერია).

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. ხატიაშვილი**

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

1 აპრილს
მე-7 აბ. მე-10 წარმ.
ქეთო და კოტე

2 აპრილს
მე-9 აბ. მე-8 წარმ.
მთების გული

3 აპრილს
მე-11 აბ. მე-8 წარმ.
ქეთო და კოტე

დასაწყისი საღამოს 8 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

1 აპრილს
უკანასკნელი რაინდი

2 აპრილს
ლალაჯი

3 აპრილს
უკანასკნელი რაინდი

დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

1 აპრილს
სერია 1 აბ. მე-7 წარმ.
კრემლის კურანტები

2 აპრილს
მარგარიტა გოტიე

დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

ქარხანა სამუშაოზე იღებს

ინჟინერ-ტექნიკოსებს შემდეგი სპეციალობის მიხედვით:
1. ლითონის ცივად დამუშავება.
2. კონსტრუქტორებს.
3. საიარაღო საქმის მცოდნეებს.
4. თერმისტებს.
5. მეტალურგებს ფერად ლითონთა დნობის დარგში.

შემდეგი სპეციალობის მუშებს:
1. ხისა და ლითონის მოდელისტებს.
2. მემრუდთარგე—ზეინკლებს.
3. ხარატებს.
4. მხეხავებს.
5. მრანდავებს.
6. რევოლვერისტებს.
7. მლარველებს.
8. ჩამომსხმელებს.
9. თერმისტებს.
10. მჭედლებს.
11. კბილის-მლარავებს.

ცნობებისათვის მიმართეთ: რუსთაველის № 22, 4 სართული, ტელეფონი 3-48-92, საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე. ყოველდღე, გარდა დასასვენებელი დღეებისა.

5—4 დირექცია.

მშობლები უშანგი, საშიკო, ძმები მიშა, კირილე, სემიონ, აბესალომ, იროდიონ, დები ლიდა, კლავდია, რძლები ვერა, თამარ ასათიანები შვილებით იუწყებიან
გენო ასათიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/IV ს. ლაილაშში. 11338

დედა ბაბილინა, რძალი თამარ, ძმა ჟორა, დისწული ლილი, ძმისწული ჯილდა გორდაძეები იუწყებიან
მარუსია ბესარიონის-ასულ გორდაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ბათუმში 3/IV. 11335

მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრის თანამშრომლები იუწყებიან
თამარ გოგეჯიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 3/IV 6 ს. მექოთნეთა, 60. 11339

ბარიგიანი, შავდია, ცაგურია, დემეტრაშვილი, იოსავა, ქაჯაია, გორიშვილი, მდივნიშვილი, ჯაფარიძე, გოგლიძე, არეხიანი, ძიმისტარაშვილი, მაისურაძე, ვასილცევი, ზეთეიშვილი, ბეჟიტაშვილი, მარდალეიშვილი, ბარსეგოვა, გარიბოვა, არტაზოვი, წულაია, ცხოვრებაძე, ხმალაძე, საფრონჩი იუწყებიან
გენო ასათიანის,
გარდაცვალებას.

მეუღლე ელო, ძმები კოლა, სიმონ, სარდიონ, დები ნინო, მარია იუწყებიან
მიხეილ (მიხაკა) მოსეს-ძე ბეგიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე სურბკარაპეტის აღმართი 8, გამოსვენება 2/IV 6 ს, კუკიის სასაფლაოზე. 11331

ძმები კოლა, სიმონ, სარდიონ, დები ნინო, მარიამ, რძლები ელენე, ნინო, ქრისტინე, ძმისწული ბეჟან, მამიდაშვილები ილო, მიტო, კატუშა იუწყებიან
მიხეილ (მიხაკა) ბეგიაშვილის
გარდაცვალებას. 11332

ჭელიძე, სურმავა, ბიძინაშვილი, კავეარაძე, ეფრემიძე, ნინუა, ცოფურიშვილი, ხეთაგური, გასვიანი, ფირალიშვილი, მავრა, ჟორა მარდალეიშვილები, გურგენიძე, დოკვაძე, ბერიშვილი იუწყებიან
ვასილ სიმონის-ძე ჯაფარიძის
გარდაცვალებას. 11325

დიმიტრი მაჭავარიანი ცოლით ბაბუცათი, შვილებით: გუგულა ცოლშვილით, ბიძინა, ქეთუშა ქმრით ქიქიკო თევზაძით იუწყებიან
მართა ივანეს-ასულ აბაშიძის
გარდაცვალებას. 11327

ძმა დათო, მამიდა ნინო გარსიაშვილები, დეიდები ნინო, ელენე, მართა პაატაშვილები, დეიდაშვილები მარინე, გივი იუწყებიან პატარა
ლალი ერემიას-ასულ გარსიაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 1/IV 6 ს. პეტრიაშვილის შესახ., 7. 11328

მეუღლე გერმანე გოგეჯიშვილი შვილით მერიკოთი, მაზლი ბაგრატ, მშობლები ანა, ზაქარია, და ვერა, ძმა იოსებ იუწყებიან
თამარ ფილიტაშვილი-გოგეჯიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2/IV 7½ ს. გამოსვენება 3/IV 6 ს. მექოთნეთა, 60. 11329

ცოლი ნინო, ბიძა ეფრემ ცოლშვილით ნაზღაიძეები, სიძე გრიშა ბუჩუკური ცოლშვილით იუწყებიან
ვასო გრიგოლის-ძე ნაზღაიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/IV ს. მლეთში. 11330

ილო და თამარ მოსაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი დედის
მარიამ ქავთარის-ასულ მოსაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ვაქირში (სიღნაღის რაიონი).

სალომე, თინა ქუნთელიები, გიორგი, ნადია ანაკიძეები, აკაკი, ელენე ბუაჩიძეები, ნინო ნოდია შვილებით იუწყებიან
ცუცა ვიქტორის-ასულ წოწონავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/IV ქ. წულუკიძეში. 11321

ვანტო შვილებით, გრიშა, კატუშა, რძლები თამარ, ვერიჩკა წერეთლები, ეთერ ლომიძისა, სონია მელაძისა, თამარ ლომიძისა, დარეჯან ვეფხვაძისა, ნინო ნიჟარაძისა ქმრებით იუწყებიან
მართა აბაშიძის
გარდაცვალებას. 11322

ქმარი ნესტორ ერისთავი, შვილები გოგი ცოლით, მარგარიტა ქმრით, შვილით, გაზრდილი ანა იუწყებიან ნატალია სილიბისტროს-ასულ
ერისთავის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 1/IV 8 ს. გამოსვენება 2/IV 6 ს. გრიბოედოვის, 14. 11323

და მაშიკო, დისწულები შალვა, დავით, დიმიტრი ცოლშვილით, ნადია, ვერა ქმარშვილით და ლუბა ლორთქიფანიძეები იუწყებიან
ვანიჩკა პროკოფის-ძე შარაძენიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბათუმში. 11324

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის—3—81—84; სასოფლო-სამეურნეო — 3—73—40; ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის —3—80—84; სამხედროსი—3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

აწყობილი და მატრიცირებულია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტში", თბილისი, ლენინის ქ. № 28; დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკაში", რუსთაველის პროსპექტი № 36. უე 21626